დანგრეული „ანდროვოვის ყურები„ და არშემდგარი კონკურსი

A2

სისხლიანი ანგარიშსწორება პალესტინის უკეთესი მომავლისათვის

A5

ირანის ბირთვული საფრთხე სავსებით რეალურია

A5

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 8 სექტემბერი, 2005 წელი. №201 (1061) ფასი 50 თეთრი

ამბები

იწყება ავლაბრის რეაბილიტაცია

რეაბილიტაციის პროექტი მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ერთმანეთთან დაკავშირებასა და ავარიული ზონის აღდგენას ისახავს მიზნად.

A2

ამბები

ბათუმის პორტის ყოფილ უფროსს სანაოსნოს საქმე გაუხსენეს

ბათუმის ყოფილი მერი და ბათუმის პორტის ყოფილი უფროსი ასლან სმირბა ბათუმის პროკურატურაში დაკითხვაზე მეორედ დაიბარეს და უკან აღარ გამოუშვეს - იგი დააკავეს. ასლან სმირბა სახელმწიფო ქონების დატაცებაშია ეჭვმიტანილი.

A2

ამბები

საკრებულოს დადგენილების ორი მხარე

თუკი ქალაქის საკრებულო 2006 წელს ამხანაგობების დაფინანსების პრინციპს არ შეცვლის, კორპუსის გაჭირვებულ მობინადრეებს არც მომავალი წლის იმედი უნდა ჰქონდეთ.

A3

რევიუ

მაშინ, როცა გვიკრძალავდნენ ლაპარაკს

არის ასეთი, ჩვენში ნაკლებად, მაგრამ დასავლეთში საკმაოდ ცნობილი 40-იანი, 50-იანი წლების მხატვარი - იულიუს ბისიერი, რომელიც იძულებული შეიქნა, ფაშიზმის პერიოდში "ნონ-ფიგურატული" მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი გამხდარიყო.

A7

ამინდი

	8/09	9 /09
თბილისი	26	22
ქუთაისი	25	22
სოხუმი	25	25
გორი	23	21
ონი	21	16
ზუგდიდი	27	27
სამტრედია	26	25

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7975
ევრო	2.2395
გირვანქა სტერლ.	3.3070
რუბლი	0.0637

ამბები	A 2
ამბები	A 3
მონიტორინგი	A 4
პროექტი	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

საპნის ოპერის ახალი პერსონაჟი

მან პირველივე შერკინება "იპონით" მოიგო

გიორგი ასანიშვილი

გამყრელიძე-მაჭავარიანის დაპირისპირება თანდათან საპნის ოპერის სიუჟეტს ემსგავსება. სამხრეთამერიკულ სერიალში მონაწილე მსახიობების მსგავსად, "შემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი და პარლამენტის ვიცე-სპიკერი ერთმანეთს ეჩხუბებიან, შეურაცხყოფას აყენებენ, უზნეობასა და კანონის დარღვევაში ადანაშაულებენ, წარსულს უქექავენ, მართლმსაჯულებით ემუქრებიან... სერიალში გუშინ ახალი პერსონა, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი გამოჩნდა და ეს ბუნებრივიცაა - საპნის ოპერა (თუნდაც პოლიტიკური!) ქალის გარეშე სად თქმულა!

გაგრძელება A3 გვერდზე

იური ლომაგინის ფოტო

ჯორჯ ბუშის წერილი დავით მაღრაძეს

თეთრი სახლი, ვაშინგტონი,
2005 წლის 1 ივლისი

მის აღმატებულებას, დავით მაღრაძეს,

თბილისი

ძვირფასო დავით მაღრაძე,

დიდი მადლობა საქართველოს ეროვნული ჰიმნის ეგზემპლარის გადმოცემისთვის. ვაფასებ თქვენს კეთილ ჟესტს და გულისხმიერებას.

საუკეთესო სურვილებით ლორა და მე!

პატივისცემით,
ჯორჯ ბუში

THE WHITE HOUSE
WASHINGTON

July 1, 2005

His Excellency
David Magradze
Tbilisi

Dear Mr. Magradze:

Thank you for the copy of the Georgian National Anthem. I appreciate your kind gesture and thoughtfulness.

Laura and I send our best wishes.

Sincerely,

George W. Bush

ერაყის ყოფილი დიქტატორი ძველ ცოდვებს აღიარებს

ხათუნა გაბიევი

ერაყის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ჯალალ თალაბანიმ სატელევიზიო გამოსვლაში ქვეყნის ყოფილ დიქტატორზე სადამ ჰუსეინზე ისაუბრა. პრეზიდენტის თქმით, სადამ ჰუსეინმა ხელისუფლების სათავეში ყოფნისას ჩადენილი დანაშაულები აღიარა.

"მე ვესაუბრე იმ გამომძიებელს, რომელმაც სადამ ჰუსეინი დაკითხა. გამომძიებელმა მითხრა, რომ ჰუსეინმა აღიარა ანფალში ქურთების წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი მკვლელობის დაკვეთა და ჩვენებას ხელიც მოაწერა. იგი 20-ჯერ იმსახურებს სიკვდილით დასჯას, რადგან ზუსტად 20-ჯერ სცადა ჩემი მოკვლა", - თქვა ჯალალ თალაბანიმ. ერაყის ამჟამინდელი პრეზიდენტი წარმოშობით ქურთია და ქურთისტანის პატრიოტული კავშირის მეთაურია. ამ ინტერვიუმდე კი თალაბანის არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი ხელს არ მოაწერდა სადამ ჰუსეინისთვის სიკვდილით დასჯის განაჩენს.

გაგრძელება A3 გვერდზე

არაა გამორიცხული, სასამართლომ ყოფილ დიქტატორს ჩამოხრჩობა მიუსაჯოს.

ჩვეულებრივი კრიმინალი თუ პოლიტიკური ანგარიშსწორება?

ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილთა მიმართ ბოლო ხანებში ზედიზედ მომხდარი რამდენიმე ძალადობის ფაქტი უკვე მერამდენედ წარმოშობს კითხვას: ჩვეულებრივი კრიმინალი თუ პოლიტიკური ანგარიშსწორება? სრულიად ბუნებრივია, რომ იგივე კითხვა დაიბადა ირაკლი კაკაბაძეზე თავდასხმასთან დაკავშირებითაც. თუმცა, გუშინ ქართველმა სამართალდამცველებმა კიდევ ერთი ეჭვის გაჩენას შეუწყვეს ხელი: ვინ ამბობს სიმართლეს - ირაკლი კაკაბაძე თუ პროკურატურა?

გუშინწინ ღამის 4 საათზე, ფალიაშვილის ქუჩაზე, მეგობრის სახლიდან შინ მიმავალ მწერალ ირაკლი კაკაბაძეს თავს უცნობი პირები დაესხნენ და სასტიკად სცემეს. თავად კაკაბაძის თქმით, იგი თავდამსხმელებისგან მისმა მეგობარმა, ზაალ ბაიდოშვილმა იხსნა, ვისთანაც ის მანამდე სტუმრად იმყოფებოდა და რომელიც, ქუჩიდან ხმაურის გაგონებისთანავე, მის დასახმარებლად გამოეშურა. ბაიდოშვილმა მიიყვანა ის რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც, სადაც თავში მძიმე დაზიანების მქონეს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, თავდამსხმელებმა კაკაბაძის ჯიბიდან ფულის გატაცება მოასწრეს. სამაგიეროდ, ადგილზეა მისი მობილური ტელეფონი და საათი.

თბილისური რეალობისთვის ჩვეულებრივად ქცეული ეს ძალადობის ფაქტი განსაკუთრებული განსჯის საგნად თავად ირაკლი კაკაბაძის პიროვნებიდან გამომდინარე იქცა. ხელისუფლებისადმი ყოველთვის ოპოზიციურად განწყობილი მწერლის მიერ "202"-ის ეთერში შალვა რამიშვილის შეცვლამ და პირდაპირ ეთერში მის მიერ გაკეთებულმა მწვავე კრიტიკულმა განცხადებებმა ამ თავდასხმის უკან ბევრს პოლიტიკური სარჩული აგულისხმებინა, მაგრამ თავდაპირველად თავად ირაკლი კაკაბაძემ უწოდა მასზე განხორციელებულ თავდასხმას ჩვეულებრივი კრიმინალური შემთხვევა. თუმცა, მოგვიანებით ის უკვე გარკვეულ სცენარზე ალაპარაკდა, მას შემდეგ, რაც სამართალდამცველი სტრუქტურებიდან საეჭვო ინფორმაციებმა დაიწყეს გაჟონვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

მთავრობა კახელი გლეხების დახმარებაზე უარს ამბობს

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განსახილველ საკითხებს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, აქცენტი გაძვირებულ ნავთობპროდუქტებზე გაკეთდა, რის შემდეგაც ეკონომიკის ახალმა მინისტრმა ნოღაიდელისგან მადლობა დაიმსახურა. გუშინვე საბოლოოდ ცნობილი გახდა, რომ წელს კახელ გლეხებს მთავრობის იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ და ყურძნის მოსავლის რეალიზაციაზე ზრუნვა თავადვე მოუწევთ. მარეგულირებელი ორგანოების შესახებ ახალი კანონპროექტი იუსტიციის მინისტრსა და კახა ბენდუქიძეს შორის მორიგი დაპირისპირების საგანი გახდა.

მარიამ ჭაჭვაძე

"კატრინას" კვალი საქართველოს ეკონომიკაზე

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ქარიშხალმა "კატრინამ", რომელმაც აშშ-ს რამდენიმე შტატს გადაუარა, თავისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზეც იქონია. ნოღაიდელი საწვავის ფასის მკვეთრ ზრდას ქარიშხალ "კატრინას" უკავშირებს, რომელმაც ამერიკის ნავთობმომპოვებელ დარგს სერიოზული ზარალი მიაყენა. თუმცა, პრემიერ-მინისტრის პროგნოზით, ნავთობპროდუქტებზე ფასები უახლოეს მომავალში დარეგულირდება. მეტიც, მისი მტკიცებით, ეს პროცესი მსოფლიოში უკვე დაწყებულია. **"საბედნიეროდ, დღეიდან დაიწყო ფასების კლება. შესაბამისად, ვუბრუნდებით ნორმალურ ვითარებას და მსოფლიო ფასები თავის ადრინდელ, თუმცა საკმაოდ მაღალ ნიშნულს უბრუნდება,"** - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ბანაკები ყველაზე ლამაზ ადგილებში

"რომელია საქართველოში ყველაზე ლამაზი ადგილები? - ლიკანი და ახალდაბა," - დაუფიქრებლად პასუხობდა ლიკანსა და ახალდაბაში გახსნილი საზაფხულო ბანაკების 400 დამსვენებელი უცხოელი სტუმრების კითხვას. ჩვენი ქვეყნის ეს ულამაზესი ადგილები, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული მოზარდების თვალში, ბანაკებში გატარებულმა დრომ ორმაგად დაამშვენა. ისინი აქაურობას დღეს დატოვებენ, ბანაკებში გატარებულმა 10 დღის მოგონებები კი მათ, მომავალ ზაფხულამდე ეყოფათ.

ნანა ქადაგიშვილი

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წყალობით, მსგავსი საინტერესო 10 დღე ქართველ ბავშვებს კიდევ ოთხ ზაფხულს ექნებათ. საზაფხულო ბანაკების გახსნა USAID-ის ხუთწლიანი პროგრამის ("ვაშენოთ მომავალი") მეორე ეტაპია. აღნიშნული პროგრამის განხორციელება გასული წლის ოქტომბერში დაიწყო. "ვაშენოთ მომავალი" საქართველოს ყველა კუთხეს მოიცავს. პროგრამის პირველი ეტაპი სკოლებში მოზარდთა კლუბების შექმნაა. ამ კლუბებს საგანმანათლებლო დანიშნულება აქვს და მიზნად მოზარდებისთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდებას ისახავს. კლუბების 15-17 წლის ასაკის წევრებს არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა და ეკონომისტთა ასოციაციები) უტარდებდნენ ტრეინიგებს სხვადასხვა თემაზე: ადამიანთა უფლებები, ტოლერანტობა, ბიზნეს-ეთიკა, პროექტების შემუშავება-განხორციელება, კონფლიქტების მოგვარება.... აღნიშნულის გარდა, ტრენინგები მოზარდებს პროფესიის არჩევასა და ინგლისური ენის უკეთ დაუფლებაშიც დაეხმარება. ანუ ამ ყველაფრის მიზანი ის არის, რომ მოზარდები უფრო განათლებულები, მოაზროვნეები და აქტიურები გახდნენ. ასეთი კლუბები ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს 203 სკოლაში უნდა გაიხსნას. ეს სკოლები გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩევა. ერთ-ერთი პირობა ის არის, რომ სკოლის ხელმძღვანელობამ 40 მოზარდისგან შემდგარ კლუბს სკოლის შენობის ერთი ოთახი უნდა დაუთმოს. ოთახის კომპიუტერულ უზრუნველყოფას კი USAID საკუთარ თავზე იღებს. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ ერთი წლის განმავლობაში უკვე მოზარდთა 20 კლუბი შექმნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში.

გაგრძელება A3 გვერდზე

ბათუმის პორტის ყოფილ უფროსს სანაოსნოს საქმე გაუხსენეს

ბათუმის ყოფილი მერი და ბათუმის პორტის ყოფილი უფროსი ასლან სმირბა ბათუმის პროკურატურაში დაკითხვაზე მეორედ დაიბარეს და უკან აღარ გამოუშვეს - იგი დააკავეს. ასლან სმირბა სახელმწიფო ქონების დატაცებაშია ეჭვმიტანილი. "კარგი ბიჭობისთვის მიჭერენ," - ასე განმარტა ასლამ სმირბამ მისი დაპატიმრება. ერთ დროს ასლან აბაშიძის "მარჯვენა ხელად" და მის "მოლარედ" წოდებული სმირბა, რომელიც მოგვიანებით, "აჭარის რევოლუციისას" აბაშიძეს განუდგა, გუშინ აჭარის შსს-ს წინასაწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

ასლან სმირბას დაკავებასთან დაკავშირებით აჭარის პროკურორმა კახა მაისურაძემ სპეციალური განცხადება გააკეთა. კახა მაისურაძის განცხადებით, საქმე ეხება 1999 წლის 29 მარტიდან 22 ივნისამდე პერიოდს, როდესაც სმირბა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. მაისურაძის ინფორმაციით, როდესაც სმირბა სანაოსნოს ხელმძღვანელობდა, იმ დროისათვის უცხოეთში მცხოვრები მეგობარი ბიზნესმენის კინტარაიას ანგარიშზე გადარიცხა სანაოსნოს კუთვნილი 200 ათასი დოლარი, რომელიც გემების სარემონტო სამუშაოებს უნდა მოხმარებოდა, თუმცა ეს თანხა სმირბამ მთლიანად პირადად გამოიყენა.

სისხლის სამართლის საქმე სმირბას მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლითაა აღძრული, რაც 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუმცა კახა მაისურაძე არ გამორიცხავს, რომ სანაოსნოში არის ბევრი დარღვევა და შესაძლოა სმირბას ბრალეულობა კიდევ უფრო დამძიმდეს.

ასლან სმირბა ბათუმის პორტის დირექტორი, საზღვაო სანაოსნოს ნავსადგურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი იყო. იყო საქართველოს პარლამენტის წევრიც, თუმცა, მას შემდეგ, რაც ასლან აბაშიძესა და ასლან სმირბას შორის ურთიერთობები დაიძაბა, აჭარაში მისი ძლიერი ფინანსური გავლენა დასუსტდა. ასლან აბაშიძემ მის "მარჯვენა ხელს" მსუყე თანამდებობებიც დაატოვებინა და მსხვილი ბიზნეს წილებიდანაც ამოაგდო. ორ ასლანს შორის ურთიერთობის გაფუჭებას სწორედ სანაოსნოს გამო დაწყებულ გამოძიებას უკავშირებდნენ. საუბარია, წლების წინ გენერალური პროკურატურის მიერ შექმნილ 200-ტომიან სანაოსნოს საქმეზე, რომელსაც სანაოსნოს 800-მილიონიანი ქონების "შეჭმაში" ეჭვმიტანილთა ვრცელი სიაც ახლდა და პირველ სამეულში აბაშიძის შემდეგ ასლან სმირბას გვარიც ფიგურირებდა.

მართალია, სმირბა წლების წინ გენერალურმა პროკურატურამ ეჭვმიტანილად გამოაცხადა, მაგრამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ მოახერხა, რომ ასლან აბაშიძის ფავორიტს, გარდა დეპუტატის იმუნიტეტისა, აჭარის ყოფილი ლიდერის პოლიტიკური გავლენაც იცავდა.

მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი თაღლითური ოპერაცია, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე მიმდინარეობდა და რომლის შედეგადაც, ოპერაციის ორგანიზატორებმა 800-მილიონიანი მოგება ნახეს, ხოლო ქვეყანამ ერთ-ერთი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი - საზღვაო-სანაოსნო, ფაქტობრივად, დაკარგა, კარგა ხნის მანძილზე გაუხსნელი იყო. ვარდების რევოლუციის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია ასლან სმირბას დაკავების შესახებ, თუმცა ეს ხმები არ დადასტურდა, რადგან მალევე ახალმა ინფორმაციამ გაჟონა, ითქვა, რომ სმირბამ თავისუფლების სანაცვლოდ სოლიდური თანხა გადაიხადა. თუმცა, პროკურატურამ ასლან სმირბა, სანაოსნოს საქმეში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, გუშინ მაინც დააკავა.

24 საათი

გატაცებულ ქართველთა ადგილ-სამყოფელი უცნობია

ოჩამჩირის რაიონიდან ქართველები - სოზარ შედანია და ვინმე ჭოლარია გაიტაცეს.

როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამხედრო დამკვირვებელმა ვალერი ჯაფარიძემ განაცხადა, ქართველები ერთი თვის წინათ გაიტაცეს. სავარაუდოდ ისინი გუდაუთის ერთ-ერთ სოფელში იმყოფებიან. **"ჩვენ ამ საკითხს ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ სხდომაზე აუცილებლად დავსვამთ და გავაკრკვევთ, რა ხდება კონფლიქტის ზონაში",** - აცხადებს ვალერი ჯაფარიძე.

შედანიას და ჭოლარიას გამტაცებლების ვინაობა უცნობია, სამართალდამცველებს კი ეჭვი ერთ-ერთ კრიმინალურ დაჯგუფებაზე აქვს. გავრცელებული ინფორმაციით, გამტაცებლები სოზარ შედანიას დედას დაუკავშირდნენ და შვილის სანაცვლოდ 30 ათასი დოლარი მოსთხოვეს. იგივე დაჯგუფება გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში მოსახლეობას თხილის მოსავალს ართმევს. თხილის სეზონის დაწყებისთანავე, ერთი კვირაა, რაც გალის რაიონის სოფლებში ე.წ. საბაჟოებია გახსნილი, სადაც გალში მცხოვრებ ქართველებს თხილის გადასატანად სპეპარატისტები საფასურს ახდევინებენ. სოხუმის ხელისუფლება ამის მიზეზად თხილის ბიზნესზე კონტროლს ასახელებს.

ქართველების გატაცებასთა დაკავშირებულ ინფორმაციას აფხაზი სამართალდამცველები არ ადასტურებენ. როგორც გალის რაიონის აფხაზურ ადმინისტრაციაში აცხადებენ, სამართალდამცველები დაახლოებით ერთი თვეა, მართლაც ეძებენ სოფელ ბედიადან გაუჩინარებულ ორ პიროვნებას - შედანიასა და ჭოლარიას, თუმცა, ორივე მათგანი აფხაზი ეროვნებისაა. იმავე წყაროს ინფორმაციით, შედანია და ჭოლარია თხილის ბიზნესში იყვნენ ჩართული და თხილს ფქვილზე ზუგდიდში ცვლიდნენ. გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელები შედანიასა და ჭოლარიას გაუჩინარებას აფხაზეთის ხელისუფლების მიერ თხილის ბიზნესზე კონტროლის გამკაცრებას არ უკავშირებენ.

თხილის სეზონთან დაკავშირებით აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გალიდან ზუგდიდში და ზუგდიდიდან გალში მოქალაქეთა მიმოსვლაზე კონტრილი გაამკაცრა. აფხაზური ხელისუფლება მოქალაქეებს საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე თხილის გადატანას უკრძალავს. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, თხილის მოსავალზე კონტროლის გამკაცრებით აფხაზური ხელისუფლება აფხაზეთის ბიუჯეტის შევსებას ცდილობს. ამ მიზნით, გალის რაიონში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი შეიყვანეს.

24 საათი

პატიმართა სამედიცინო შემოწმების სტატისტიკა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული მდგომარეობა იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტა კომისიური წესით შეისწავლა და სტატისტიკური მონაცემები გაავრცელა. პატიმართა შეამოწმების დინამიკა: 2003 წელს სამედიცინო კომისიამ შეამოწმა 1388 პაციენტი, რაც სტატისტიკურად 1000 პატიმარზე 23 პროცენტს შეადგენს. 2005 წლის მხოლოდ 6 თვის მონაცემებით კი კომისიური შემოწმება გაიარა 1216-მა პაციენტმა, (30 პროცენტი). ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა: 2003 წელს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა 176 პაციენტს (2,8 პროცენტს). 2005 წლის მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში ოპერაცია გაუკეთდა 108 პაციენტს (2,6 პროცენტს). სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან სამოქალაქო სექტორის კლინიკებში სამკურნალოდ და გამოსაკვლევად ეტაპირებულთა სტატისტიკა: 2003 წელს გადაყვანილია 8 პატიმარი (1,3 პროცენტი). 2005 წლის 6 თვის მოაცემებით კი 27 პატიმარი. (6,2 პროცენტი). მძიმე ავადმყოფობის გამო სამედიცინო დეპარტამენტის წარდგინებით პატიმრობიდან გათავისუფლდა: 2003 წელს - 8 პატიმარი (1,3 პროცენტი). 2005 წლის 6 თვეში - 2 პატიმარი (0,5 პროცენტი). პატიმართა გარდაცვალების სტატისტიკა - ავადმყოფობის შედეგად: 2003 წელს 39 პატიმარი გარდაიცვალა (6,5 პროცენტი). 2005 წლის 6 თვეში ამ მიზეზით გარდაიცვალა 15 პატიმარი. (3,5 პროცენტი). სასიკვდილო ზემოქმედების შედეგად: 2003 წელს გარდაიცვალა - 13 პატიმარი (2 პროცენტი). 2005 წლის 8 თვეში გარდაიცვალა - 3 პატიმარი (0,9 პროცენტი). **24 საათი**

აკრძალული ნივთიერებები არ ილევა

ქსნის ტუბერკულიოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ქსნის სასჯელაღსრულების N7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში და ამავე ტერიტორიაზე განთავსებულ N5 საპყრობილეში ჩხრეკის ღონისძიება ერთდროულად, გუშინ დილის 10 საათზე დაიწყო. მოულოდნელად ფართომასშტაბიანი ჩხრეკა ჩატარდა. ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებას იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე პირადად ხელმძღვანელობდა. სპეციოპერაციაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების რაზმი და სპეცდანიშნულების დანაყოფი მონაწილეობდა. ოთხი საათის განმავლობაში დაწესებულებების ტერიტორიების შემოწმებისა და პატიმართა პირადი დათვალიერების შედეგად ამოღებულია ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა" და მრავალი აკრძალული საგანი: 40 ცალი თვითნაკეთი დანა, ლითონის ნაჭერები, რკინის საჭრელი ხერხი, ურო, მობილური ტელეფონი, 25 ცალი ბანქოს დასტა, 3 ლიტრი კუსტარულად დამზადებული ალკოჰოლური სასმელი ეგრეთწოდებული "ბრაგა". კოპაძის განცხადებით, ღონისძიებამ გართულებების გარეშე ჩაიარა. **ჯი-ეიჩ-ენი**

დანგრეული „ანდროპოვის ყურები" და არშემდგარი კონკურსი

თამარ დვალი

ავტორის ფოტო

ამ ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, თითქმის ყველა დიდი პროექტი, რომელიც კონკურსის შედეგად გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა განახორციელოს, დროთა განმავლობაში, ყოველგვარი კონკურსის გარეშე ერთი კონკრეტული კომპანიის შესასრულებელი ხდება. მთავრობა ამის მიზეზად, უმეტესად, ფორსმაჟორულ სიტუაციას ასახელებს. რას მოიმოქმედებს მუნიციპალიტეტი კიდევ ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტის რეკონსტრუქციისას, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციის შესახებ საერთაშორისო კონკურსი, რომელიც 2005 წლის 1 ივლისს უნდა გამოცხადებულიყო, ჯერ არ გამოცხადებულა. სავარაუდოდ, კონკურსი აღარც გამოცხადდება. ამას ურბანული სამსახურის მიერ ახლახან გაცემული დოკუმენტიც ადასტურებს, სადაც სიტყვა კონკურსი საერთოდ არ არის ნახსენები.

რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციის იდეა ზურაბ ჭიაბერაშვილის მერობის დროს გაჩნდა. თავდაპირველად საუბარი იყო მხოლოდ სასტუმრო "ივერიის" ადგილზე ახალი, თანამედროვე ტიპის სასტუმროს აშენებაზე. ცოტა მოგვიანებით, დღის წესრიგში ე.წ "ანდროპოვის ყურების" დანგრევის საკითხიც დადგა. როგორც არქიტექტურის სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელობა აცხადებდა, რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქცია მას შემდეგ დაიწყებოდა, რაც საერთაშორისო კონკურსი გამოვლენდა.

"ჩვენ გვინდოდა, რესპუბლიკის მოედანთან დაკავშირებით საერთაშორისო კონკურსი გამოგვეცხადებინა, რაც უნიკალურ შანსს გვაძლევდა, რომ ქალაქი თბილისი, ურბანისტული განვითარების კუთხით, მსოფლიოს არქიტექტურულ წრეებში საინტერესო გამხდარიყო. ეს ჩვენი ქვეყნის რეკლამა იქნებოდა, ტონუსი უცხოური ინვესტიციებისათვის უძრავი ქონების სფეროში, გამომდინარე იქიდან, რომ დასავლეთში არქიტექტორები მჭიდრო კავშირში არიან დეველოპურ კომპანიებთან. საკითხის მნიშვნელობისა და მაღალი საზოგადო ინტერესების გათვალისწინებით, თბილისის მერიამ, "სილქროუდ გრუპმა" და თბილისის უძრავი ქონების კომპანიამ პარიტეტულ საწყისებზე დააფუძნეს "რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდი." ფონდის მიზანი იყო, მოემზადებინა რესპუბლიკის მოედნის და მიმდებარე ტერიტორიების ფუნქციური, სატრანსპორტო და ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების კვლევა; დაემუშავებინა საერთაშორისო კონკურსის პროგრამა და პირობები, რომელზე დაყრდნობითაც გამოცხადდებოდა საერთაშორისო ქალაქმშენებლობითი კონკურსი. ეს უნდა ყოფილიყო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. სატრანსპორტო ათვლა გაკეთდა ბარათაშვილის ხიდიდან ვარაზისხევამდე. ქალაქის მთავრობის დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკის მოედანი გამოცხადდა სარეკონსტრუქციო ზონად, სადაც კონკურსის გამოცხადებამდე ყოველგვარი მშენებლობა აიკრძალა. იდეაში ეს პროექტი მოწონებული უნდა ყოფილიყო ჟიურის მიერ, რის შემდეგაც მას განიხილავდა არქიტექტურის სამსახური სხვა შესაბამის სამსახურებთან ერთად, გეგმა გადაეცემოდა ქალაქის მთავრობას და ბოლოს დაამტკიცებდა საკრებულო. ყველა ქვეყანაში მსგავსი პროექტები მთავრობის დონეზე განიხილება. ეს არის ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი და ქალაქი ვალდებულია, მსგავს პროექტებს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს. ისევე, როგორც ახლა გვიწევს ე.წ "ანდროპოვის ყურების" დანგრევა. თუ გვინდა, რომ მომავალშიც იგივე არ გამეორდეს, უნდა გამოცხადდეს საერთაშორისო კონკურსი და არ მოხდეს ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის ყოფილმა მოადგილემ ბექა ქარსიძემ, რომელიც საკონკურსო პირობებზე მუშაობდა.

დღეს საერთაშორისო კონკურსის ჩატარებაზე ნაკლებად საუბრობენ. თბილისის ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურში რესპუბლიკის მოედნის განაშენიანების ახალი გენერალური გეგმა 27 ივლისს შევიდა განსახილველად. როგორც პროექტის ავტორი - "რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდი"-ს თავჯდომარე კიტა მხეიძე აცხადებს, ეს არ არის პროექტი და ის მხოლოდ კვლევის შედეგებს მოიცავს.

ჩვენი ინფორმაციით, არსებობს იდეა, რომ მუნიციპალიტეტმა მთელი საინვესტიციო პროექტი რომელიმე დეველოპერულ კომპანიას გადასცეს, რომელიც ყოველგვარი კონკურსის გარეშე თავადვე დაუკვეთავს არქიტექტურულ პროექტს. რადგანაც რესპუბლიკის მოედნის საინჟინრო, მარკეტინგული და სატრანსპორტო კვლევა "რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდის" დაფინანსებით განხორციელდა, ამბობენ, რომ პროექტსაც სწორედ ეს ფონდი განახორციელებს. მით უმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ე.წ "ანდროპოვის ყურების" დანგრევით სამუშაოებიც ამავე ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს. წესით, ეს სამუშაოები მუნიციპალიტეტს უნდა ჩაეტარებინა. ამისთვის ბიუჯეტში 300 ათასი ლარიც იყო გათვალისწინებული, თუმცა, არ დაფინანსებულა. მიმდინარე წლის 31 აგვისტოს საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების დროს კი, რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციისთვის გათვალისწინებული ხარჯები საერთოდ ამოიღეს ბიუჯეტიდან. მართალია თუ არა გავრცელებული ხმები და რა შეთანხმება არსებობს ფონდსა და ქალაქს შორის, ამის შესახებ "რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდის" თავმჯდომარეს კიტა მხეიძეს ვესაუბრეთ.

- თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურში შესული დოკუმენტის თანახმად, ამ სამსახურისგან თქვენ რესპუბლიკის მოედნის ახალი გენერალური გეგმის განხილვას და შეთანხმებას ითხოვთ. რას გულისხმობს ეს დოკუმენტი?

- ჩვენი კომპანია ამ შემთხვევაში არის ფონდი, რომელიც შეიქმნა მუნიციპალიტეტის და "სილქროუდის" მიერ. ფონდის ამოცანა არ იყო პროექტის გაკეთება, ფონდის ამოცანა იმთავითვე იყო კონცეფციის შემუშავება, ანუ მართებული იდეის ჩამოყალიბება. ამ იდეის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა ოთხი მხარე: ჩვენ, როგორც დამკვეთი; პროექტის გენერალური მენეჯერი - ინგლისური არქიტექტურული კომპანია; კომპანია, რომელმაც ტრანსპორტის და საინჟინრო გეგმარების კვლევა გააკეთა და, დამატებით, ინგლისური კომპანია, რომელმაც მარკენტიგული კვლევა განახორციელა. მარკეტინგული, სატრანსპორტო და საინჟინრო კვლევის საფუძველზე, ინგლისურმა კომპანია "ოკეტ"-მა შეკრიბა ყველა მონაცემი, შეაჯამა და ფონდს შეკვეთის საპასუხოდ გადმოსცა. ეს არ არის პროექტი, ეს არის რესპუბლიკის მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების იდეა. მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ ის, რაც ფონდმა მიაწოდა ქალაქს, კერძოდ - არქიტექტურის სამსახურს, ეს არის მხოლოდ იდეა. კვლევა გასული წლის ბოლოს დაიწყო და მაისში დასრულდა. არქიტექტურის სამსახურმა ეს უნდა ჩამოაყალიბოს, როგორც არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება. რაც შეეხება არქიტექტურულ კონკურსს, ეს არის მუნიციპალიტეტის გადასაწყვეტი. ფონდს არ შეუძლია შევიდეს ქონებრივ უფლებებში, სხვის ქონებაზე გამოაცხადოს კონკურსი, ან დააგეგმაროს სხვისი ქონება.

- ეი უკვე გქონდათ შემოთავაზება?

- რადგან მე ვამბობ, რომ თეორიული შესაძლებლობა არის, ე.ი იყო ამაზე საუბარი... მთავარია, მუნიციპალიტეტმა ჩამოაყალიბოს, ფორმა მისცეს ამ პროექტს, უფრო სწორად - იდეას, რაც ჩვენმა ფონდმა მიაწოდა. თუკი მუნიციპალიტეტი საკანონმდებლო ბაზას მოამზადებს და დავინახავთ, რომ ეს "მყარ ფეხებზე" დგას, იმ შემთხვევაში დავთანხმდებით. ამაზე განცხადება თავად მუნიციპალიტეტმა უნდა გააკეთოს.

ქალაქის მერი გიგი უგულავა ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს. შესაძლოა, დღევანდელმა მთავრობამ 2005 წლის 4 თებერვლის დადგენილება გააუქმოს და ახალი გამოსცეს, სადაც შეცვლილი პირობები იქნება. არსებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: "რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს მიენიჭოს საერთაშორისო ქალაქმშენებლობითი კონკურსის ოფიციალური პროგრამისა და პირობების სტატუსი და დამტკიცდეს კანონმდებლობის შესაბამისად." აქვე მითითებულია, რომ საერთაშორისო ქალაქმშენებლობითი კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო არაუგვიანეს 2005 წლის 1 ივლისისა.

"რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდის" მიერ ჩატარებულ კვლევაზე ურბანულმა სამსახურმა ცოტა ხნის წინ ასეთი დასკვნა გასცა: "წინადადებები ქ. თბილისის რესპუბლიკის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის ქალაქმშენებლობითი პირობებისთვის". როგორც ხედავთ, სიტყვა კონკურსი ახალ დოკუმენტში აღარ ფიგურირებს. შესაბამისად, კვლევის შედეგებს კონკურსის ოფიციალური პროგრამისა და პირობების სტატუსი არ მინიჭებია.

მას შემდეგ, რაც "რესპუბლიკის განვითარების ფონდმა" ურბანულ სამსახურში კვლევის შედეგებთან ერთად ფოტომასალაც წარადგინა, ზოგიერთი სპეციალისტისთვის ეს მასალა მიუღებელი აღმოჩნდა.

"ფოტომასალის თანახმად, ჯავახიშვილის ქუჩასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (სანაპიროს მხრიდან) საკმაოდ დიდი სიმჭიდროვით ბინათმშენებლობა მოიაზრება. ეს არის მტკვრის არტერიის რეკრეაციული სივრცე და მისი დარღვევა მიუღებლად მიგვაჩნია. ასეთი დამოკიდებულება არანორმატიულიც არის და კანონმდებლობასთან შეუსაბამოც. თუკი მოცემულ იდეას ამ სახით დავტოვებთ, მაშინ რუკის იმ ნაწილის შეცვლაც მოგვიწევს, სადაც ეს ტერიტორია რეკრეაციულ ზოლადაა მიჩნეული. ჩვენ შევეცადეთ საბინაო მშენებლობის 75 პროცენტი ტერიტორიის სხვა სივრცეებზე გადაგვენაწილებინა. ეს არის მხოლოდ იდეის დონეზე და დამტკიცებამდე კიდევ შევა ცვლილებები. ჯერჯერობით, კონკურსის გამოცხადებაზე მუშაობა არ მიდის. თავდაპირველად უნდა ჩამოვყალიბდეთ, რა გვინდა, მერე შესაძლებელია, თითოეულ ობიექტზე არქიტექტურული კონკურსი გამოცხადდეს," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა პაპუნა ძიძიგურამა. მისივე თქმით, სატრანსპორტო კვლევის დოკუმენტებიც გადასახედია.

მოკლედ

თბილისი. საპარლამენტო დელეგაცია, მიხეილ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, ერთკვირიანი ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრა. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები ევროსაბჭოში წაიღებენ 5 კანონპროექტს, რომელიც თვითმმართველობის ორგანოებს - მათ პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებებს შეეხება.

აღნიშნულ კანონპროექტებს ქართველი პარლამენტარები ევროსაბჭოში ექსპერტების თანდასწრებით განიხილავენ, შესაბამის რეკომენდაციებს მიიღებენ და კანონპროექტებს მათი გათვალისწინებით ჩაასწორებენ.

მაჭავარიანის განცხადებით, ევროსაბჭო საქართველოს პარლამენტს დაეხმარება, რათა ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში იქნას მოყვანილი კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც საქართველოში თვითმმართველობის ჩამოყალიბებას შეეხება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს, სექტემბერში საქართველოში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ვიზიტი იგეგმება. როგორც ზურაბიშვილმა განაცხადა, 12 სექტემბრისათვის აშშ-ში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი იგეგმება, რომლის შემადგენლობაში, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, თავადაც იქნება. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ შეხვედრა კონდოლიზა რაისთანაც შედგეს. თუმცა, როდის ჩამოვა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი საქართველოში, ზურაბიშვილმა ჯერჯერობით არ იცის. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამხედრო გრანტის შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირებას მხარს უჭერს. ხელშეკრულების თანახმად, თურქეთი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 2 მლნ. 755 500 ლირას გამოუყოფს. გრანტის ნაწილი, რომელიც 2 მლნ. 475 ათას თურქულ ლირას შეადგენს, ნივთიერი დახმარების გაწევას მოხმარდება. 280 ათას 500 ლირა კი შეიარაღებულ ძალებს ფულადი დახმარების სახით გადაეცემა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საპარლამენტო ოპოზიცია საშემოდგომო სესიისთვის მუშაობის ერთობლივ გეგმას ამუშავებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, "რესპუბლიკელების", "კონსერვატორებისა" და "მემარჯვენეების" წარმომადგენლებმა კონსულტაციები გამართეს. "კონსერვატორების" მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ დეპუტატები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, "რესპუბლიკელები" - პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი და პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი. შეხვედრაზე "მემარჯვენეებს" დავით გამყრელიძე და ფიქრია ჩიხრაძე წარმოადგენდნენ. შეხვედრა დახურულ რეჟიმში ჩატარდა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართველთა სახლებში მცხოვრებმა, აფხაზი ეროვნების 100-მა მოქალაქემ სოხუმის მერიასთან საპროტესტო აქცია გამართა და სოხუმის მერ ასტამურ ადლეიბასგან ხელისუფლების მიერ მათთვის დროებით საცხოვრებლად გადაცემული სახლების დაკანონება მოითხოვა. ასტამურ ადლეიბამ "პროტესტანტი მოქალაქეები" საკითხების გასარკვევად აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის ხელმძღვანელ დაურ თარბასთან გაგზავნა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა პრეზიდენტის მიერ ევროსაბჭოში ელჩის პოსტზე წარდგენილი ზურაბ ჭიაბერაშვილის კანდიდატურა განიხილა და მხარი დაუჭირა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ აღნიშნა, ევროსაბჭოში საქართველოს ელჩი კარგად უნდა ერკვეოდეს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში და დემოკრატიულ ღირებულებებში, რადგან ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მუშაობას, ძირითადად, ეს ფაქტორები განსაზღვრავს. ბაქრაძის თქმით, ზურაბ ჭიაბერაშვილს არასამთავრობო სექტორში მოღვაწეობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, კარგად ერკვევა ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიულ ღირებულებებში. ამიტომ, იგი ევროსაბჭოში საქართველოს ელჩობას თავს გაართმევს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უახლოეს მომავალში ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო გაიხსნება. ჩეხეთში საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კი, შესაძლოა, კარლო სიხარულიძე გახდეს. ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტმა სიხარულიძის კანდიდატურა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საშემოდგომო სესიაზე გავა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის შეფასებით, ირაკლი კაკაბაძეზე თავდასხმით ხელისუფლებამ სადამსჯელო ოპერაცია განახორციელა.

გამყრელიძის თქმით, იგი ირაკლი კაკაბაძეზე განხორციელებულ თავდასხმას კრიმინალად, ძარცვა-ყაჩაღობის ფაქტად ვერც ერთ შემთხვევაში ვერ განიხილავს, ვინაიდან, დარწმუნებულია, რომ მას შემდეგ, რაც ირაკლი კაკაბაძემ და მისმა მეგობრებმა ხელისუფლების მიერ განწირული ტერორისტის "202"-ის დახურვისგან გადარჩენა შეძლეს, ხელისუფლებამ მასზე შური იძია.

მომხდარს იგი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ტერორად მიიჩნევს, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ დეპუტატ ვალერი გელაშვილის, ჟურნალისტ საბა წინიკაშვილის, ჟურნალისტ შალვა რამიშვილის, ჟურნალისტ ბექა ონიანის, რომელმაც პირველ ეტაპზე შეცვლა შალვა რამიშვილი, ხოლო შემდეგ ავარიაში მოყვა და ტვინის შერყევა აქვს, წინააღმდეგ ხელისუფლება მიზანმიმართულად ბრძოლას ახორციელებს. **ინტერპრესნიუსი**

იწყება ავლაბრის რეაბილიტაცია

თამარ დვალი

ავტორის ფოტო

ახლო მომავალში კომპანია "არსი" თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში ახალი პროექტის განხორციელებას გეგმავს. ამის შესახებ განცხადება გუშინ კომპანია "არსის" პრეზიდენტმა გია აბულაძემ გააკეთა. მისი თქმით, რეაბილიტაციის პროექტი მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს ერთმანეთთან დაკავშირებასა და ავარიული ზონის აღდგენას ისახავს მიზნად.

"რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც ახლა მუშავდება, ავლაბრის თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავს. მუშაობას ნაწილ-ნაწილ დავიწყებთ. ქეთევან წამებულის, წურწუმიას, 300 არაგველის, ბოჭორმის და შავი ზღვის ქუჩები - ეს იმ ადგილების ჩამონათვალია, სადაც მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს. ავლაბრის რეაბილიტაციის ფონდი გერმანელმა მეცენატმა შრამმა ჩამოაყალიბა. სამწუხაროდ, იგი გარდაიცვალა და დღეს მის დაწყებულ საქმეს ჩვენ ვაგრძელებთ. პროგრამა მთელი ავლაბრის რეაბილიტაციასა და რეკონსტრუქციას გულისხმობს," - აღნიშნა გუშინ გამართულ პრეზენტაციაზე კომპანია "არსის" პრეზიდენტმა გია აბულაძემ.

გუშინ კომპანია "არსი" ყურადღების ცენტრში მეორედ მოექცა. მათი პირველი გამოჩენა ე.წ "ვირის ხიდის" და ქარვასლების პროექტს უკავშირდებოდა. აბულაძის განცხადებით, ეს იყო ძველი თბილისის ისტორიული ცენტრის აღდგენისა და განვითარების საპრეზიდენტო პროგრამის პირველი ნაწილი. დღეს პირველ ნაწილს მეორე ნაწილი გადაება და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს განაშენიანების გეგმას მარცხენა სანაპიროს რეკონსტრუქციაც დაემატა.

"ჩვენ გვინდა, რომ "ვირის ხიდის" და ქარვასლების პროექტი ორგანულად გადაებას ავლაბრის რეკონსტრუქციის პროგრამას. მტკვრის მარცხენა სანაპირო მეორე მხარეს დღეს, ფაქტობრივად, მოწყვეტილია. მიგვაჩნია, რომ ამ ორი პროექტის განხორციელების შემდეგ, ავლაბარი უფრო აქტიურად ჩაებმება ქალაქის ცხოვრებაში. კარგი და მისალოცი ფაქტია ისიც, რომ მშენებლობა ვაკე-ვერადან ქალაქის სხვა, შედარებით განაპირა უბნებში გადაინაცვლებს. ჩვენ ჩავატარეთ ისტორიული კვლევა და ვიცით, რომელი შენობა არის ისტორიული და რომელი არა. ისტორიულ ტეგლებს შევინარჩუნებთ და აღვადგენთ," - განაცხადა აბულაძემ. მისივე თქმით, ავარიული სახლების ადგილას ავლაბ

საპნის ოპერის ახალი პერსონაჟი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მთავარი მოქმედი პირები - მიხეილ მაჭავარიანი და დავით გამყრელიძე - გუშინდელ "სერიაში" არ მონანილეობდნენ, თუმცა მოქმედება მთლიანად მათი დავის გარშემო განვითარდა, რადგან პარლამენტის ბიუროს დავალებით, საპროცედურო საკითხებისა და წესების კომიტეტმა უნდა შეისწავლოს 5 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე "მემარჯვნე ოპოზიციის" ლიდერის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის მიმართ წაყენებული ბრალდებები, რომელიც ამ უკანასკნელის ბიზნეს-ინტერესებს შეეხება.

დავით გამყრელიძემ წინასწარ გააფრთხილა ხათუნა გოგორიშვილი, რომ მისი კომიტეტის სხდომაზე მისვლას, თუნდაც ბრალმდებლის როლში, არ აპირებდა. წესით, ეს "ფუნქცია" მის თანაფრაქციელს, საპროცედურო კომიტეტის წევრს მამუკა კაციტაძეს უნდა ეკისრა, მაგრამ მიხეილ მაჭავარიანის "მამხილებელი" დოკუმენტების წარმოჩინება გუშინ არც მას უცდია.

კაციტაძის თქმით, საპროცედურო კომიტეტის სხდომაზე საკითხის განხილვა უადგილოა, თუნდაც მისი თავმჯდომარისადმი ნდობის თვალსაზრისით.

"მიხეილ მაჭავარიანის ბრალეულობის განსაზღვრის ხათუნა გოგორიშვილის კომიტეტისთვის მინდობა მელიის მიერ თავისი კუდის მოწმედ მოყვანას ჰგავს. გოგორიშვილის მიერ მაჭავარიანის საკითხის განსჯა რა უნდა იყოს? დამნაშავედ მაინც გამყრელიძეს გამოიყვანს და იტყვის, აბა, ჩემს "შვილს" ხომ არ მოვჭრი თავსო," - პარლამენტის ბიუროს მიერ დანიშნული "არბიტრის" ობიექტურობაში ეჭვი ეპარებოდა კაციტაძეს, რომელიც საკომიტეტო განხილვის ნაცვლად, დაჟინებით ითხოვდა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას.

ხათუნა გოგორიშვილს არ დაუმალავს, რომ ვიცე-სპიკერთან 15-წლიანი მეგობრობა აკავშირებს. ამიტომ, მან ოპოზიციონერ ოპონენტს ასეთი წინადადებით მიმართა: გამყრელიძის ბრალდებების შესასწავლად საპროცედურო საკითხთა კომიტეტის "ბაზაზე" შეიქმნას სამკაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც "ნაციონალური მოძრაობის" წევრი დეპუტატები საერთოდ არ შევლენ. ჯგუფის ორი წევრი ოპოზიციის წარმომადგენელი იქნება (კაციტაძე-თავმჯდომარე, პლუს კახა კუკავა), მესამე კი - შედარებით ნეიტრალური პიროვნება (კერძოდ, მარტვილის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ რუხაია). გოგორიშვილის თქმით, სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებულ მასალას ის კომიტეტის სახელით წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.

მამუკა კაციტაძე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: საპროცედურო კომიტეტის ეგიდით სამუშაო ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, უმრავლესობა იტყოდა, საკითხის შემსწავლელი ჯგუფი ხომ უკვე არსებობს, საგამოძიებო კომისიის შექმნა რაღა საჭიროაო. ხოლო თუ კაციტაძე სამუშაო ჯგუფის შექმნას არ დათანხმდებოდა, წამოაძახებდნენ: ჩვენ თვითონ შევუწყვეთ ხელი ოპოზიციას, რომ მაჭავარიანის ბიზნეს-ინტერესებში გარკვეულიყო, მაგრამ ამის გაკეთება არ ისურვაო.

კაციტაძე მიხვდა, რომ გოგორიშვილის ხაფანგში გაება და ბრძოლა შეწყვიტა. მან მხოლოდ ისღა ითხოვა, საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დავაყენებთ და თუ ჩვენი წინადადება არ გავა, სამუშაო ჯგუფის შექმნას ამის შემდეგ ვუყაროთ კენჭი. თხოვნამ არ გასჭრა: მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ კანდიდატურას აცილება მისცა, საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა 11 ხმით ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. მამუკა კაციტაძეს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

ამით საკმაოდ კომიკური და კურიოზული ვითარება შეიქმნა: საპარლამენტო უმრავლესობა "იხვეწება", ჩვენი ერთ-ერთი ლიდერის მიხეილ მაჭავარიანის "შავბნელი" საქმეები გამოააშკარავეთო, რაზედაც ოპოზიცია თავს იკავებს.

გამყრელიძე-მაჭავარიანის "მატჩის" საბოლოო შედეგი ჯერ ცნობილი არ არის, იმის თქმა კი დაბეჯითებით შეიძლება, რომ გუშინ ხათუნა გოგორიშვილმა საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს "იპონით" მოუგო.

საკრებულოს დადგენილების ორი მხარე

თბილისის კორპუსების დაზიანებული ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად წლევანდელ ბიუჯეტში ჩადებული 2 მილიონ 100 ათასი ლარი ოქტომბერში ამოიწურება. სახელმწიფო დახმარებას 400-მდე ამხანაგობა მიიღებს. დაფინანსების გარეშე დარჩენილ 600 ამხანაგობას კი მომავალი წლის ბიუჯეტის ლოდინი მოუწევს. თუმცა, თუკი ქალაქის საკრებულო 2006 წელს ამხანაგობების დაფინანსების პრინციპს არ შეცვლის, კორპუსის გაჭირვებულ მობინადრეებს არც მომავალი წლის იმედი უნდა ჰქონდეთ.

ნანა ქადაგიძვილი

თბილისის კორპუსების ლიფტებისა და სახურავების სარემონტო სამუშაოების თანადაფინანსების პრინციპის შემოღების შემდეგ, მერიამ თავდაპირველად მოსახლეობის წილი მაღალი პროცენტით განსაზღვრა. ანუ სახურავების შესაკეთებლად სახელმწიფო დახმარებას ის ამხანაგობა მიიღებდა, ვინც სარემონტო სამუშაოების ღირებულების 15 პროცენტს გადაიხდიდა (დანარჩენს სახელმწიფო დაფარავდა); ლიფტების შეკეთების შემთხვევაში კი - 25 პროცენტს. თუმცა, საკრებულოს ოპოზიციამ, არცთუ უსაფუძვლოდ, აღნიშნული პროცენტები მოსახლეობისთვის ხელმიუწვდომლად მიიჩნია და თანადაფინანსებაში მოქალაქეთა წილის დაწევა მოითხოვა. ოპოზიციის წინადადება მიუღებელი არც უმრავლესობისთვის აღმოჩნდა და საკრებულოს დადგენილებით, სახურავების შეკეთების შემთხვევაში მოსახლეობის წილი სარემონტო სამუშაოების ღირებულების არანაკლებ 5 პროცენტით განისაზღვრა, ლიფტების კი - 10 პროცენტით.

ერთი შეხედვით, საკრებულომ მოსახლეობისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, მოსახლეობის ნაწილს მაინც განსაზღვრულზე ბევრად მეტი პროცენტის გადახდა მოუწია. მიზეზი კი ისევ საკრებულოს აღნიშნულ დადგენილებაშია საძებნელი.

თავიდან მერიამ საბიუჯეტო თანხების მიმღებთა რიგითობა ამხანაგობების ჩამოყალიბების რიგითობის მიხედვით განსაზღვრა. ანუ, უპირატესობა იმ ამხანაგობას მიეცემოდა, რომელიც უფრო ადრე ჩამოყალიბდა. თუმცა, შემდეგ საკრებულომ, თანადაფინანსებაში მოსახლეობის წილთან ერთად, საბიუჯეტო თანხების განაწილების პრინციპიც შეცვალა. საკრებულოს დადგენილების თანახმად, თანხის განაწილებისას უპირატესობა იმ ამხანაგობას ეძლევა, ვინც თანადაფინანსებაში მეტპროცენტიანი წილით შევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაჭირვებულ მოქალაქეებს, მათი კორპუსის სახურავისა და ლიფტის ავარიულობის ხარისხის მიუხედავად, სახელმწიფო დახმარების გარეშე დარჩენის დიდი შანსი აქვთ.

2005 წლის მარტიდან აგვისტოს ჩათვლით, მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახურმა (ვისაც ლიფტებისა და სახურავების შეკეთების პროგრამის განხორციელება ევალება) 300 ამხანაგობასთან გააფორმა ხელშეკრულება. ანუ ლიფტებისა და სახურავების შეკეთების პროგრამისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 2 მილიონ 100 ათასი ლარიდან მილიონ 700 ათასი ლარი, ფაქტობრივად, დახარჯულია (ჯერჯერობით, მხოლოდ შესრულებული სამუშაოებია დაფინანსებული, მაგრამ

ამხანაგობასა და სამსახურს შორის ხელშეკრულება გაფორმებულია და დანარჩენი თანხა სამუშაოს დასრულების შემდეგ გადაირიცხება). როგორც სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი ქველაძე აცხადებს, დარჩენილი საბიუჯეტო სახსრები, 400 ათასი ლარი, ოქტომბერში ამოიწურება. არადა, თბილისში უკვე 1000-მდე ამხანაგობა არსებობს და ლიფტისა და სახურავის შეკეთებას ყველა ითხოვს. 400 ათასით კი, როგორც სამსახურში ვარაუდობენ, მაქსიმუმ 100 ამხანაგობის დაფინანსება მოხერხდება. დანარჩენი 600 ამხანაგობის წევრებს კი ორი გზა დარჩენიათ, ან მომავალ წელს დაელოდონ, ან სამშენებლო სამუშაოების თანადაფინანსებაში საკუთარი წილი მაქსიმალურად გაზარდონ. **"ამიტომაც არის, რომ აგვისტოსექტემბერში მოსახლეობის მიერ შემოთავაზებული წილი საგრძნობლად გაიზარდა. ლიფტების შესაკეთებლად მოსახლეობა უკვე 25-პროცენტიან წილს გვთავაზობს, სახურავების შესაკეთებლად კი - 20-პროცენტიანს,"** - აცხადებს ქველაძე.

მოსახლეობა უკვე აპროტესტებს. **"წლების განმავლობაში ჩვენი კორპუსის სახურავიდან წყალი ჩამოდის. სარემონტო სამუშაოების ღირებულების 5 პროცენტს კიდევ როგორღაც გადავიხდიდით, მაგრამ მეტს - ვერა, კორპუსის მოსახლეობის უმრავლესობას ეკომონიკურად ძალზე უჭირს. გამოდის, რომ სახელმწიფო ისევ შეძლებულებს ეხმარება,"** - ჩივიან ისანი-სამგორის რაიონში მდებარე ერთ-ერთი ამხანაგობის წევრები.

ასე რომ, თუკი საკრებულო ზემოთაღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებას არ შეიტანს, ასეთი ხალხი მომავალი წლისთვისაც სახელმწიფო დახმარების გარეშე დარჩება.

ბანაკები ყველაზე ღამაზ ადგილებში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პროგრამის "მომავალი ჩვენია" მეორე ეტაპი, საზაფხულო ბანაკების გახსნა კი, წლევანდელ ზაფხულს პირველად განხორციელდა. 200-200 ბავშვისგან შექმნილი ორი ბანაკი ლიკანსა და ახალდაბაში გაიხსნა. დამსვენებლები მოზარდთა კლუბებიდან ტესტირების შედეგად შეარჩიეს. ტესტირება მხოლოდ წარჩინებული მოსწავლეების გამოსავლენად არ ჩაუტარებიათ. ბანაკებში ის მოზარდები მოხვდნენ, ვისაც ყველაზე მეტად უნდოდა და სჭირდებოდა იქ ყოფნა. ლიკანსა და ახალდაბაში 400 მოზარდი მათი და ბანაკების ხასიათების მიხედვით გადაანაწილეს. ლიკანის ბანაკში ძირითადი დრო შემოქმედებით საქმიანობასა და სწავლებებს ეთმობოდა და ხელოვნება-ცოდნის მოყვარულებმა ეს ბანაკი აირჩიეს. ახალდაბაში კი უფრო სპორტული თამაშების მოყვარულნი მოხვდნენ.

2 სექტემბერს USAID-სა და საკონსულტაციო ჯგუფ "ჯეპრას" წყალობით, აღნიშნული ბანაკები ჟურნალისტებმაც მოვინახულეთ და ძალიან დაგვწყდა გული, რომ 17 წლის ასაკს კარგა ხანია, გადავაბიჯეთ. უზარმაზარი, წიწვოვან-ფოთლოვან-ტყიანი მთების რკალში მოქცეული ბანაკები, სადაც ყოველი დღე გამჭვირვალე ჰაერზე დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება და უამრავი სიახლითა და მოგონებით მთავრდება, ჩვენთვისაც ერთ დღეში იქცა ზღაპრულ ადგილად.

"მომავალი შენია" სექტემბრის შუა რიცხვებში კიდევ ერთი ბანაკის გახსნას მოასწრებს, ოღონდ, ამჯერად არა საქართველოში, არამედ თურქეთში (ტრაპზონში), ქართველი და აფხაზი მოზარდების დასაახლოებლად. მომავალში კი პროექტში სამაჩაბლოში მცხოვრები მოზარდების ჩაბმაც იგეგმება.

ჩვეულებრივი კრიმინალი თუ პოლიტიკური ანგარიშსწორება?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კერძოდ, საქმე ის გახლავთ, რომ დილით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კაკაბაძის მეგობარმა ზაალ ბაიდოშვილმა, რომელმაც, კაკაბაძის თქმით, იგი მძარცველების ხელიდან დაიხსნა, სამართალდამცველებს დაკითხვისას უთხრა, რომ მეგობარს თავად მან სცემა. მოგვიანებით, უკვე პოლიციიდან გათავისუფლებულმა ბაიდოშვილმა განაცხადა, რომ ამგვარი ჩვენების მიცემა აიძულეს.

ეჭვის საფუძვლად იქცა ასევე ირაკლი კაკაბაძის შარვლის ჯიბეში აღმოჩენილი პრეზერვატივები, რომლებიც, კაკაბაძის თქმით, მას არ ჰქონია და ის ინფორმაციაც, რომელსაც კაკაბაძის ბინაში მისული სამართალდამცველები ავრცელებდნენ.

თავად კაკაბაძე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დეტალურ კომენტარებს ვერ აკეთებს და ვერც ჩვენებას აძლევს გამოძიებას. როგორც მისმა მეგობარმა, სტუდია "რეპორტიორის" წარმომადგენელმა, ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ გვიამბო, ირაკლი კაკაბაძეს ჯიბეში პრეზერვატივები მძარცველებმა ჩაუდეს.

"ირაკლის ბინაში დილით მოსული პროკურატურის თანამშრომლები მისი ტანსაცმლის ნივთმტკიცების სახით ამოღებას აპირებდნენ, რისი საშუალებაც ადვოკატის გარეშე არ მივეცით. მათი წასვლის შემდეგ კი შარვლის ჯიბეში პრეზერვატივი ვიპოვეთ", - ამბობს ვახტანგ კომახიძე. მისივე თქმით, კაკაბაძის ბინაში მყოფი პოლიციელები საუბრობდნენ, რომ ზაალ ბაიდოშვილის ბინაში სისხლიანი ზეწრები და დამტვრეული სანოლი იქნა აღმოჩენილი. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კომახიძე ეჭვობს, რომ პროკურატურის თანამშრომლები ცდილობენ ახალი სცენარის გათამაშებას, რადგანაც, მისი თქმით, ირაკლი კაკაბაძისთვის, ასევე ზაალ ბაიდოშვილისთვის უცნობია, როდის დაიმტვრა სანოლი და გაჩნდა ლოგინზე სისხლი.

თავად ირაკლი კაკაბაძის თქმით კი, მისთვის ხელისუფლებას ისეთივე სიბინძურის დაბრალება სურს, როგორიც, თავის დროზე, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დააბრალა.

"ჩემი ჯიბიდან საფულე დაიკარგა. სამაგიეროდ, ჯიბეში ვიპოვე ორი ცალი პრეზერვატივი. გამომძიებლები აცხადებენ, რომ ჩემი მეგობრის, ზაალ ბაიდოშვილის სისხლიანი ზეწრები და დამტვრეული საწოლი იპოვეს. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, თუ რა სიბინძურეზე მიდის ხელისუფლება",- აღნიშნა კაკაბაძემ.

კაკაბაძე აცხადებს, რომ ასეთი პროვოკაციის შესახებ იგი ინფორმირებული იყო, თუმცა წინასწარი განცხადებების გაკეთებისგან თავი შეიკავა. მისი თქმით, იგი გამოძიების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ მისცემს ჩვენებას.

თუმცა, სამართალდამცველები ირაკლი კაკაბაძის ჩვენებას არ დაელოდნენ და გუშინვე გაავრცელეს ოპერატიული მასალა, რომელზეც ზაალ ბაიდოშვილის ჩვენებაა ასახული. ჩვენებაში ბაიდოშვილი ამბობს, რომ ირაკლი კაკაბაძემ, რომელიც მისგან მთვრალი წავიდა, ქუჩაში იჩხუბა, შემდეგ კი ნაცემმა გადაწყვიტა ეს ფაქტი პოლიტიკური "პიარისთვის" გამოეყენებინა.

კაკაბაძესთან დაკავშირებულ მოვლენებს გუშინვე სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა, რომლის მონოლოგიც, ძირითადად, პოლიტიკური ხასიათისა გახლდათ. თბილისის პროკურორმა პირობა დადო, რომ ირაკლი კაკაბაძეზე მომხდარი თავდასხმის ფაქტს ობიექტურად გამოიძიებენ, თუმცა, იქვე განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როცა ჩვეულებრივ კრიმინალს პოლიტიკურ სარჩულს უდებენ. ამის დასტურად გიორგი ღვინიაშვილმა დეპუტატ კახა კუკავაზე განხორციელებული თავდასხმა გაიხსენა და განაცხადა, რომ საქმე გახსნილია, დაზარალებულმა დეპუტატმა ამოიცნო პირი, რომელიც მას ყაჩაღობის მიზნით დაესხა თავს.

ირაკლი კაკაბაძის ცემასთან დაკავშირებით აღძრულ საქმეზე გუშინ ორჯერ დაკითხული ზაალ ბაიდოშვილი, მესამედ იძულებით მიიყვანეს პროკურატურაში. იძულებითი მიყვანის შესახებ გადაწყვეტილება თბილისის პროკურორმა მიიღო, როგორც თავად განაცხადა, საქმის ობიექტურად გამოძიების მიზნით. თუმცა, რა საჭირო იყო გადაუდებელი ღონისძიების ოპერატიულად ჩატარება - ბაიდოშვილის პროკურატურაში იძულებითი მიყვანა, გაუგებარია. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იძულებით მიყვანის ნორმას ითვალისწინებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ მოწმე, ამ შემთხვევაში ბაიდოშვილი, ნებაყოფლობით არ გამოცხადდებოდა და თანაც, დადგენილი იქნებოდა გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზი. მოგეხსენებათ, ბაიდოშვილი გამოძიებას არ დამალვია, მან ჩვენებაც მისცა და ამიტომაც მისი პროკურატურაში იძულებით მიყვანა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. თუმცა, საქმე ისაა, რომ პოლიციელთა ჯგუფმა ბაიდოშვილი იძულებით მაშინ წაიყვანა, როცა იგი სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტიდან" მოდიოდა, სადაც პოლიციაში მის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე ისაუბრა.

24 საათი

სულხან მოლაშვილს განაჩენი გამოუტანეს

ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა - ასეთი ვერდიქტი გამოუტანა თბილისის საქალაქო სასამართლომ კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს. მოსამართლე მანუჩარ კაპანაძემ პროკურატურის მხრიდან მოლაშვილისთვის სასჯელის ზომად მოთხოვნილ ათ წელს მხოლოდ ერთი წელი მოაკლო. განაჩენის გამოცხადებას დარბაზში ხმაური მოჰყვა. თავად მოლაშვილი კი რამდენიმე საათის განმავლობაში მკვეთრ კომენტარებს უკეთებდა მოსამართლის ვერდიქტს.

ბოლო სასამართლო პროცესზე კანონით გათვალისწინებული უფლებით არც განსასჯელს და არც მისი ინტერესების დამცველებს არ უსარგებლიათ - სულხან მოლაშვილს ბოლო სიტყვა არ უთქვამს, მისივე თხოვნით, დაცვითი სიტყვით არც ერთ მის ადვოკატს არ უსარგებლია. **"ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფს სასამართლომ დაცვის უფლება იმთავითვე შეუზღუდა უკანონოდ, ამდენად, არანაირი დაცვითი სიტყვის დაფიქსირებას აზრი არ აქვს. როდესაც სასამართლომ ამხელა საქმის გამოძიება ოთხ პროცესში დაასრულა, 46 მოწმიდან 6 მოწმე დაკითხა, 19 დაზარალებულიდან - 16 და 25 ტომიდან მხოლოდ 2 მტკიცებულება გამოაქვეყნა, ფაქტობრივად გამოდის, რომ სასამართლო გამოძიება საერთოდ არ ჩატარებულა. დაცვას კი არ მოგვეცა უფლება, დაცვით სიტყვაში დაგვემოწმებინა ის მტკიცებულებები, რომელიც სასამართლოზე არ გამოქვეყნებულა,"** - ასეთი გახლავთ ადვოკატთა პოზიცია, რომლებიც მოლაშვილისთვის განაჩენის გამოცხადებას პროტესტის ნიშნად არ დასწრებიან.

თანამდებობრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებისთვის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მითვისება-გაფლანგვისთვის მსჯავრდებულის ინტერესების დამცველები და ახლობლები, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მართლმსაჯულებას არ ენდობიან და მხოლოდ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ამყარებენ იმედებს, გუშინ გამოტანილი განაჩენის გაპროტესტებას ზემდგომ ინსტანციაში - საოლქო სასამართლოში - მაინც აპირებენ. ამისთვის მათ კანონით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადა აქვთ.

"საქართველოს ხელისუფლებას სურს, მოლაშვილის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სასწრაფოდ კანონიერ ძალაში შევიდეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოლაშვილის საქმე ასე სასწრაფოდ იმიტომ განიხილა, რომ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხი ამ დროისთვის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში განიხილება. ადვოკატების სარჩელის განხილვა სასამართლომ 25 აგვისტოსთვის დანიშნა, საქართველოს ხელისუფლებამ სტრასბურგის სასამართლოს, დამატებითი მასალების წარდგენის საფუძვლით, პროცესის სექტემბრისთვის გადავადება სთხოვა, რის გამოც საქმის განხილვა 27 სექტემბრისთვის გადაიდო," - აცხადებენ მოლაშვილის ადვოკატები.

"საქართველოში მიმდინარეობს პოლიტიკური რეპრესიები და მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ქვეყნის სათავეში ამჟამინდელი ხელისუფლება იქნება. მოვა დრო და ამ პროცესის გამო მოსამართლე მანუჩარ კაპანაძეს და პროცესის მონაწილე პროკურორებს ჩვენებების მიცემა მოუწევთ ასეთი დანაშაულებრივი ქმედებების გამო", - ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ გუშინ საქალაქო სასამართლოში შეკრებილი სულხან მოლაშვილის მხარდამჭერები.

როგორც განაჩენის გამოცხადების შემდეგ მსჯავრდებულის ოჯახის წევრებმა განაცხადეს, პროკურატურის წარმომადგენლებისგან მათთვის წინასწარვე იყო ცნობილი, რომ მოლაშვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიდნენ.

24 საათი

მთავრობა კახელი გლეხების დახმარებაზე უარს ამბობს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კემულარია ბენდუქიძის კანონპროექტს იწუნებს

პრივატიზაციის შესახებ კანონის შემდეგ სახელმწიფო მინისტრსა და იუსტიციის მინისტრს შორის დაპირისპირების საგანი ბენდუქიძის მარეგულირებელი ორგანოების შესახებ კანონპროექტი ხდება. კოტე კემულარიამ საკუთარი პოზიცია ხსენებულ კანონპროექტთან დაკავშირებით გუშინ ცალსახად დააფიქსირა, როცა განაცხადა, რომ მარეგულირებელი ორგანოების შესახებ კანონპროექტს არსებული სახით მხარს არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერს. ბენდუქიძისეული იდეა მარეგულირებელი ორგანოების შემცირება და მათი ბიუჯეტიდან დაფინანსება, იუსტიციის მინისტრმა საკმაოდ თამამ განცხადებად შეაფასა. **"ამას დეტალური განხილვა და დაზუსტება სჭირდება,"** - დასძინა კემულარიამ. მისივე თქმით, ამ საკითხზე საქართველოს მთავრობა პარლამენტთან ერთად ზუსტად ორ დღეში, შაბათს იმსჯელებს.

შეგახსენებთ, რომ ბენდუქიძის პროექტი საქართველოში არსებული ექვსი მარეგულირებელი ორგანოს რესტრუქტურიზაციას ითავალისწინებს. კერძოდ, საავტომობილო, სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ადმინისტრაციები გაერთიანდებიან, კომუნიკაციების ეროვნული კომისია და სემეკი კი შენარჩუნდება და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან. ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იქნება.

მადლობა ჩოგოვაძეს

იმ ფაქტმა, რომ როგორც იქნა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებელი კომპანია "იპოვა", პრემიერ-მინისტრისგან ეკონომიკური განვითარების ახალმა მინისტრმა, ირკლი ჩოგოვაძემ მადლობა დაიმსახურა. კომპანიების "ტავისა" და "ურბანის" ერთობლივი კონსორციუმი თბილისის შემდეგ, ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქციასა და მის თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოებაზე იზრუნებს, ყოველ შემთხვევაში, ამას ითვალისწინებს ის ხელშეკრულება, რომელიც კონსორციუმსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის სამშაბათს მოეწერა ხელი. პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ ამ პროექტების განხორციელების შემდეგ, საქართველოში ტურისტული ინფრასტრუქტურა უფრო განვითარდება და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ნოღაიდელის თქმით, თურქული კონსორციუმი 95 მილიონ დოლარიანი ინვესტიციის ამოღებას დაახლოებით 15 წლის განმავლობაში გეგმავს.

ყურძნის რეალიზაციაზე სახელმწიფო აღარ იზრუნებს

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე კახეთში მოახლოებულ რთველზე კიდევ ერთხელ იმსჯელეს. უკვე ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ წელს კახელ გლეხებს მთავრობის დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ. ყურძნის მოსავლის რეალიზაცია ბოლო კილოგრამამდე კახელებს თავადვე მოუწევთ. არადა წელს, როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, ერთ-ერთი ყველაზე უხვმოსავლიანი წელი იქნება. განსაკუთრებით დიდ მოსავალს საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებიდან ელიან.

სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, მხოლოდ კახეთში 145 753 ტონა ყურძენი დაიკრიფება, აქედან 122 408 ტონა თეთრ ყურძენზე მოდის, ხოლო 23 345 ტონა - წითელზე.

აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები გასული წლისას მნიშვნელოვნად აღემატება. შესაბამისად, მოსავლის რეალიზაციის დროს პრობლემაც შარშანდელთან შედარებით უფრო მკვეთრი და შესამჩნევი გახდება.

გიორგი მახარაშვილის თქმით, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ღვინის ორი ქარხანა ყურძნის მოსავლის ძალიან მცირე ნაწილს ჩაიბარებს. დანარჩენის რეალიზაციაზე გლეხებმა თავად უნდა იზრუნონ. **"საქართველოში 132 ქარხანაა რეგისტრირებული. თუმცა, სახელმწიფოს საკუთრებაში მხოლოდ ვარკეთილისა და წინანდლის ღვინის ქარხნებია. სავარაუდოდ, წინანდლის ღვინის ქარხანა 100 ტონა ყურძენს ჩაიბარებს. ხოლო ვარკეთილის ღვინის ქარხანა, საწარმოო სიმძლავრეების შესაბამისად, საბრენდე სპირტის საწარმოებლად მცირე რაოდენობით თეთრ ყურძენს ჩაიბარებს. რაც შეეხება კერძო სექტორს, თუ რა რაოდენობის ყურძენს მიიღებენ კერძო მფლობელობაში არსებული ქარხნები, ამას სამინისტრო ვერ გააკონტროლებს,"** - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ გიორგი მახარაშვილმა.

ერთადერთი, რითაც ხელისუფლება წელს კახელ გლეხებს დაეხმარება, ეს აზერბაიჯანიდან შემოტანილი დაბალხარისხოვანი ყურძნის იმპორტის აკრძალვა იქნება. სოფლის მეურნეობის სამინისტროში იმედოვნებენ, რომ ეს აკრძალვა კახელ ფერმერებს მოსავლის რეალიზაციაში მნიშვნელოვნად დაეხმარება. წინასწარი ინფორმაციით, წელს ყურძნის ფასი ჯიშების მიხედვით, 0.20 ლარიდან 2.50 ლარამდე იმერყეებს.

კრასნოიარსკში ქართველები დააკავეს

კრასნოიარსკში სამართალდამცავებმა ექვსი ქართველი კრიმინალი დაიკავეს, ერთმა კი თავს გაქცევით უშველა.

დაკავებულები ავტომობილებიდან ძვირფას ნივთებს იპარავდნენ. ისინი საკმაოდ ორგანიზებულად მოქმედებდნენ. კრიმინალები კრასნოიარსკის ელიტარულ უბნებში, საკრედიტო დაწესებულებებსა და ფუშენებელურ მაღაზიებთან მდგარი მდიდარი კლიენტების ავტომობილების საბურავს აზიანებდნენ და მისი შეცვლის პროცესში ღია სალონიდან ძვირფას ნივთებს იპარავდნენ.

როგორც კრასნოდარის მხარის სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს ხელმძღვანელმა ალექსანდრე პრივალოვმა განაცხადა, ეჭვმიტანილები მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ და საკუთარი საქმიანობით მნიშვნელოვან შემოსავლებს იღებდნენ.

"დაჯგუფების წევრები თვეში რამდენიმე ავტომობილს იცვლიდნენ. ისინი არ იყვნენ რეგისტრირებულნი კრასნოიარსკში და ნაცნობებთან ცხოვრობდნენ", - განაცხადა პრივალოვმა. მისივე თქმით, დაკავებული ქართველები კრასნოიარსკში ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ და ამ მხარეს, იმავე მიზნით, ადრეც სტუმრობდნენ.

ჯი-ეიჩ-ენი

საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის მიერ ავტოტრანსპორტის დარგში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი ჯარიმების გადახდა შესაძლებელია ბანკ "რესპუბლიკის" ყველა ფილიალში.

ბანკ "რესპუბლიკის" ფილიალების მისამართებია:

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (99532) 312161, 312181
ფაქსი: (99532) 312161
ელფოსტა: info@delisi.republic.com.ge

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (99532) 911117, 911118, 237043
ფაქსი: (99532) 911117, 911118
ელფოსტა: info@sadguri.republic.com.ge

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (99532) 590770, 590880
ფაქსი: (99532) 590660
ელფოსტა: info@gldani.republic.com.ge

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740
ელ-ფოსტა: info@samt.republic.com.ge

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08
ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08

ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N1
თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 13
ტელ: (995 32) 294598, 294599
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: scenter1@republic.com.ge

ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N2
თბილისი, საერთაშორისო აეროპორტი
ტელ: (995 32) 433181
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: ap1@republic.com.ge

ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N3
თბილისი, ფალიაშვილის ქ. 33ა
ტელ: (995 32) 912237, 912238, 912239, 912240
ფაქსი: (995 32) 912241
ელფოსტა: info@republic.com.ge

გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N1
თბილისი, ლუბლიანას ქ. 18/20
ტელ: (995 32) 261629, 517047
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N 2
თბილისი,დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
ტელ: (995 32) 531951, 531952
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

თელავის სერვისცენტრი
თელავი, ნადიკვარის ქ. 13
ტელ: (995 250) 75608, 75607
ელფოსტა: info-telavi@gldani.republic.com.ge

გორის სერვისცენტრი
გორი, მოსკოვის ქ. 1
ტელ: (995 270) 70780
ელფოსტა: info-gori@gldani.republic.com.ge

ზუგდიდის სერვისცენტრი
ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. 1
ტელ: (995 215) 51982

ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08
რუსთავის სერვისცენტრი
მშენებელთა ქ. 21
ელფოსტა: info-rustavi@gldani.republic.com.ge

ქობულეთის რაიონის გამგეობა აცხადებს , "24 საათის" 2005 წლის 29 აგვისტოს N193-ში გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების გაუქმების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების ფორმის ცვლილების გამო.

შ ე ს წ ო რ ე ბ ა

გაზეთ "24 საათი"-ს 24 აგვისტოს ნომერში ქ. გურჯაანის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერში დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 8 სექტემბრის 10 საათიდან 12 სექტემბრის 16 საათამდე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება კი შეეძლებათ 2005 წლის 19 სექტემბრიდან 20 სექტემბრის 16 საათამდე.

სატენდერო კომისია

ერთიანი ეროვნული ცნობიერებისათვის

საქართველოს ისტორიაში მე არ ვიცნობ უფრო დიდ მნიშვნელოვან დღეს. ამ დღეს ყველაზე მეტი დაფიქრება მართებს ქართველ ერს. არა დღესასწაული და პათეტიური ჟესტიკულაცია, არამედ დარბაისლური მოფიქრება. რა ვიყავით, რა ვართ ან რა უნდა ვიქნეთ.

კონსტანტინე გამსახურდია. "სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს"

ერი შეიძლება ეწოდოს კაცობრიობის ნაწილს, თუ მასში არსებობს ურთიერთსიმპათია, რომელსაც ის სხვების მიმართ ვერ გრძნობს. ეროვნულობის ეს გრძნობა შეიძლება ერთიანი წარმომავლობით იყოს გამოწვეული. ენისა და რწმენის ერთიანობა აძლიერებს ამ გრძნობას. გეოგრაფიული საზღვრები ერთ-ერთი მიზეზთაგანია. მაგრამ უმნიშვნელოვანესი წყარო ამ ურთიერთანაგრძნობისა ერთიანი პოლიტიკური წანამძღვრების, ეროვნული ისტორიისა და შესაბამისად, ერთიანი მეხსიერების არსებობაა, სიამაყისა თუ სირცხვილის, სიხარულისა თუ მწუხარების ერთიანი განცდა, რომელიც წარსულის ერთსა და იმავე მოვლენებს უკავშირდება.

ჯონ სტიუარტ მილი

მერაბ კიკნაძე
საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერი

კონსტანტინე გამსახურდიაც ძნელად თუ იფიქრებდა, რომ მეოცე საუკუნეშივე საქართველოს ისტორიაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობის დღე დადგებოდა. 9 აპრილი არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ნიშანსვეტია. გლობალური ექსპერიმენტი, რომელიც დედამიწის ტერიტორიის ერთ მეექვსედზე განლაგებული საპყრობილის დროის მოთხოვნების შესაბამისად ტრანსფორმაციას გულისხმობდა, ჩაფლავდა. თუკი საერთოდ შესაძლებელია ამაში რომელიმე ცალკეული მოვლენის მნიშვნელობაზე საუბარი, ის უდავოდ ცხრა აპრილს უკავშირდება. დღეს ამ მოვლენის მნიშვნელობას ქართველებს ამერიკის პრეზიდენტი გვახსენებს, თანაც ის პრეზიდენტი, რომლის მამამ თავის დროზე ყველაფერი მოიმოქმედა მისი შედეგების გასანეიტრალებლად. ამ მოულოდნელი განცხადების უბრალო პოლიტკორექტულობად მონათვლა მიამიტობაა. ეს იყო ცხადი და ღია შეხსენება, გარკვეულწილად - თავის მართლებაც დაშვებული შეცდომისათვის, როდესაც "დინების საწინააღმდეგოდ ცურვად" მოინათლა მთლიანად საქართველოს სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, და არა მისი ლიდერის ცალკეული გამონათქვამები. საკვირველია, რომ ეს მოულოდნელი შეხსენება თითქმის შეუმჩნეველი დაგვრჩა.

როგორ აღმოვჩნდით ამ სასაცილო მდგომარეობაში? როდის გადაეწყეტა საბოლოოდ, "უნდა გადაგვენაცვლა თუ არა ქაშვეთის ტაძრის ეზოში"? რატომ გვეპატარავება საკუთარი თავი? რატომ დავივიწყეთ ის დღე, როდესაც ჩვენმა გაერთიანებულმა ძალისხმევამ არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა დამონებული ქვეყნების გათავისუფლებაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა? როდის და როგორ მოხდა, რომ ეს დიდებული დღე ჩვენმა ინტელექტუალურმა თუ პოლიტიკურმა ფსევდო-ელიტამ უბედურების სიმბოლოდ აქცია? როდის შევწყვეტთ მის დახურდავებას ხელისუფლების ოპოზიციასთან თუ ინსტიტუტს გარეთ დარჩენილ აბიტურიენტებთან ძიძგილაობის აღსანიშნავად?

სათავე ამ მდგომარეობისა, ისევე როგორც ბევრი სხვა პრობლემისა, ის არის, რომ ჩვენი უახლესი ისტორიის მოვლენათა მნიშვნელობა დღემდე შეუფასებელია, ხშირ შემთხვევაში - მივიწყებული ან გაყალბებული. შეფასებაში არ ვგულისხმობთ ცალკეული პოლიტიკური თუ ინტერესთა სხვა ჯგუფების ემოციურ და დაუსაბუთებელ განცხადებებს. ამათგან ზოგს მხოლოდ პრაგმატული მოსაზრებები ამოძრავებს და შეფასებებსაც ამინდის პროგნოზივით ცვლიან, ზოგს კი სინამდვილის ადეკვატური აღქმა დაუკარგავს და მნიშვნელოვანს უმნიშვნელოსაგან ვეღარ ასხვავებს. შეფასებაა ის, რაც ისტორიისათვის მაქსიმალურად შესაძლებელი ობიექტურობის ხარისხისა და ისეთი სიზუსტის მატარებელია, რომ ქვეყნის პატიოსან მოქალაქეთა უმრავლესობისათვის მისაღებია - მიუხედავად იმისა, სასიამოვნოა ის თუ არა.

ისეთი ირაციონალური მოვლენისათვის, როგორიცაა ერი, საყოველთაოდ მისაღები და ზუსტი მეცნიერებისათვის დამახასიათებელი, ცალსახა დეფინიციის მოძებნა შეუძლებელია. ეპიგრაფში მოყვანილი განმარტება, ჩვენი აზრით, მაქსიმალურად მისადაგება ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას.

თუ მას დავეყრდნობით, ცხადი გახდება: წარსულის მნიშვნელოვან მოვლენათა შეფასება არაა მხოლოდ აკადემიური ინტერესის საგანი, არამედ **ერის ერთიანი ცნობიერების არსებობა-არარსებობისა და შესაბამისად - ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს უკავშირდება.**

რა ხდება, თუ ასეთი საერთო ეროვნული *წანამძღვრები* როგორც ჯ.ს. მილი ამბობს, არ არსებობს და შესაბამისად არ არსებობს მათ მიმართ ერთიანი დამოკიდებულება? იქნებ ამაში ტრაგიკული არაფერია? იქნებ ეს ჩვეულებრივი პლურალიზმია? ან როგორაა შესაძლებელი, რომ მთელი ერი, ან თუნდაც მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ამა თუ იმ მოვლენას ერთნაირად აფასებდეს? ამგვარ ოპონენტს შევახსენებთ, რომ საქმე ეხება სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მოვლენებს, ამ მასშტაბის მოვლენა კი ნებისმიერი, რაგინდ ხანგრძლივი ისტორიის მქონე ერისათვის შეიძლება მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი იყოს. ჩვენს ისტორიაში ასეთის უდავო მაგალითად დიდგორის გამარჯვება გამოდგება. **წარმოვიდგინოთ, რა დარჩებოდა ჩვენგან,** ქართველთა მნიშვნელოვან ნაწილს რომ ჩაეთვალა, თითქოს ეს იყო უაზრო, არაფრისმომცემი თავგამოდება, რომ თურქთა ურდოებთან დაპირისპირება პოლიტიკური მოუქნელობის მაჩვენებელია, ან მაგალითად, რომ ქართველების როლი ამ გამარჯვებაში მინიმალურია და ყველაფერი მხოლოდ ჯვაროსანთა აღზევებითა და თურქების დასუსტებით აიხსნება. არ არის გამორიცხული, რომ ამ მოვლენის თანამედროვე ქართველობის ნაწილი, იქნებ საკმაოდ მნიშვნელოვანიც, სწორედ ასე თვლიდა. საბედნიეროდ (თუ საუბედუროდ - ეს გემოვნების საკითხია) **ერთიანმა ეროვნულმა ცნობიერებამ** ის დასკვნა გააკეთა, რომელიც გააკეთა. ამას უნდა ეუმადლოდეთ, რომ **ერთ ერად შევკავშირდით, ჯერ კიდევ შემოგვრჩა სიხარულისა და სიამაყის ერთიანი განცდა,** რომელიც ამ მოვლენას უკავშირდება, რომ **ჯერ კიდევ გაგვაჩნია ისეთი ურთიერთთანაგრძნობა,** რომელსაც სხვების მიმართ არ განვიცდით. თუ აღარ გაგვაჩნია?

ისტორია ერთიან ეროვნულ ცნობიერებას მუდმივ გამოცდას უწყობს. საქმე ისაა, ამ გამოცდების სწორი იდენტიფიცირება მოვახერხოთ. ამისათვის აუცილებელია ისტორიულ მოვლენათა ჭეშმარიტი მასშტაბის დადგენა და მათ მიმართ ერთიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ის, რომ ქართველები ამას უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში ვახერხებთ, შესაძლოა ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, მაგრამ არა გულარხეინობისა.

შევარდნაძის მმართველობამ ცხადად თუ შეფარვით ყველაფერი აკეთა იმისათვის, რომ ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიერ მოპოვებული გამარჯვების რევიზია მოეხდინა. ყველა ხერხითა და საშუალებით ერთი, იდიოტური სიმარტივის აზრი მკვიდრდებოდა: "რაც დავიმსახურეთ, ის მივიღეთ!". (უცნაურია: ამ აზრს ყველაზე ხშირად ისეთი პატიოსანი მოქალაქისაგან გაიგებთ, რომელსაც ნამდვილად არ დაუმსახურებია ის, რაც მიიღო.) ერთი მიზეზით იხსნებოდა ყველაფერი: სიდუხჭირიდან დაწყებული, ჩაბარებული ტერიტორიებით დამთავრებული. ამ აზრის დამკვიდრებაში მიღწეული წარმატება შევარდნაძის ხანგრძლივი კარიერისათვის უმაგალითოა და ერთადერთი. თვით შევარდნაძის მიმართ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება სრულიად ადეკვატური იყო: სატრაპი სატრაპია და მისგან არც შეიძლება სხვა რამეს ელოდებოდე. სამწუხაროა, რომ ქართული პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ელიტა იშვიათი, თითებზე ჩამოსათვლელი გამონაკლისებით 90-იან წლებში თავისი სამოქალაქო თუ სხვა სახის აქტივობით, ზუსტად იგივე აზრს ამკვიდრებდა, რისთვისაც მთლიანად გაფლანგა ავტორიტეტი. ამის შედეგად მივიღეთ ერთი მხრივ, სამოქალაქო და ეროვნული აპათიით შეპყრობილი საზოგადოება, მეორეს მხრივ საზოგადოების თვალში სრულიად დისკრედიტებული "ელიტა", რომლის მიმართ ეს სიტყვა დღეს მხოლოდ სოციალური მდგომარეობის აღსანიშნავად თუ გამოიყენება. ამჟამად ცოცხლებში ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომლის ავტორიტეტი მისი ახლობლებისა თუ კოლეგების ვიწრო წრის ფარგლებს სცილდება. ის, რომ ფსევდოავტორიტეტების ყოლას სრული უვატორიტეტობა სჯობს, ვერაფერი ნუგეშია.

ბუნებრივია, რომ ხელისუფლებისაგან, რომელსაც ლეგიტიმურობის სერიოზული პრეტენზია აქვს, ელოდები იმას, რასაც არ ელოდები სატრაპისაგან. არავინ მოითხოვს ერთი ხელის დაკვრით ათი წლის გაფუჭებული საქმის გამოსწორებას. აქ ისევ და ისევ დარღვეული ეროვნული ერთიანობის აღდგენას ვგულისხმობთ და არა სხვა რამეს. თუმც ხელისუფლებას უდავოდ საკმარისი დრო ჰქონდა იმისათვის, რომ ამ საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულება გაეჟღავნებინა და ეს გააკეთა კიდეც. რა სურათი წარმოგვიდგა თვალწინ?

■ ეროვნული "შერიგებისა" თუ "თანხმობის" პროცესი იმაზე უფრო ადრე დამთავრდა, ვიდრე დაიწყო. ვერავინ გაიგო, ვინ ვის "შეუთანხმდა" ან "შეურიგდა". კამპანია ტრივიალური ხელის ჩამორთმევითა და მხარზე ხელის ტყაპუნით დამთავრდა, თითქოს საქმე ქორწილში მომხდარ აყალმაყალს ეხებოდა. ასეთ "თანხმობას" სატრაპიც არ თაკილობდა. არავითარი, სერიოზულთან ოდნავ მიახლოებული განსჯა არ ყოფილა. ვინც რა აზრზე (ან უაზრობაზე) იდგა, იქ დარჩა. არადა ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ თანხმობა ერთი აზრის ირგვლივ გაერთიანებას ნიშნავს, და არა საპირისპირო, ურთიერთგამორიცხავი აზრების გაერთიანებას.

■ გამოიკვეთა უახლესი ისტორიის ახლებური, ნახევრადოფიციალური ინტერპრეტაცია, რომელიც ძირითადად ზეპირსიტყვიერი განცხადებებით შემოიფარგლება და მცირედი ვარიაციებით ასე გამოიყურება: საბჭოთა კავშირი დაიშალა, (როგორ - ამაზე საუბარს გაურბიან. იგულისხმება, რომ ეს რაღაც იდუმალი ძალების მოქმედების შედეგია, ხოლო ჩვენ, ქართველებს, ამაში არანაირი წვლილი არ მიგვიძღვის). საქართველოში ხელისუფლება შემთხვევით ჩაუვარდა ხელში ამისათვის სრულიად მოუმზადებელ, იქნებ პატიოსან, მაგრამ უნიათო ადამიანს, რომელმაც "ცუდად დაამთავრა". მითიური "სამოქალაქო დაპირისპირების" უკან არანაირი აზრთა ჭიდილი არ ჩანს და ის მხოლოდ ჩვენი ეროვნული ხასიათის ნეგატიური თვისებებით (უპირობა, გაუტანლობა, ღალატი და ა.შ.) აიხსნება. ასეთივე ახსნას ექვემდებარება ტერიტორიების დაკარგვაც, ქუჩებში დაღვრილი მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლიც და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული სადამსჯელო ექსპედიციებიც. ამ ვარიაციებიდან უკლებლივ ყველა "მორცხვი" დუმილით უვლის გვერდს იმ სახელოვან როლს, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში **ადმირალმა ბალტინმა** და მისმა ძლევამოსილმა ესკადრამ შეასრულა... შემდეგი ხელისუფალი ძალიან ეშმაკი და მოხერხებულია, მაგრამ "პრინციპების" ნაკლებობას განიცდის, რაც განსაკუთრებით ნათლად იჩენს თავს მისი კარიერის ბოლო ეტაპზე. "საპარლამენტო არჩევნებში მოპარული ხმების გამო აღშფოთებული ქართველი ერი" ვარდების ქნევით თავიდან იცილებს გათავხედებულ მმართველს. აღდგენილია ისტორიული პროცესის ნორმალური მიმდინარეობა. დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ისტორია 2003 წლის ნოემბერში იწყება.

■ სად გმირობა და სად პრაგმატიზმი? მაგრამ, ახალმა პრაგმატიკოსებმა ჩათვალეს, რომ ახალ ისტორიას ახალი გმირები სჭირდება... მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ქვეყანაში გმირი შეგნებულად ჩაბარებულ ქალაქში შეგნებულად ჩატოვებული კაცისაგან გამოძერწეს (ყველაფერთან ერთად ეს ამ ადამიანის ხსოვნის შეურაცხყოფაცაა).

ხელისუფლების მოტივაცია ძნელი ამოსაცნობი არაა - ის საკუთარი წარსულის მძევალია. დამაფიქრებელი სამოქალაქო საზოგადოების აპათია გახლავთ, რომელიც არა თუ გრძელდება, ღრმავდება კიდეც. ამის შედეგია იმ მოჯადოებულ წრეში ტრიალი, სადაც სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებზე ჭეშმარიტი ბჭობა და ჯანსაღი კამათი კვლავ ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფების ძიძგილაობითაა ჩანაცვლებული, რომელსაც მთლიანად ანგაჟირებული და "გაპაპარაცებული" მედია სპორტული აზარტით აშუქებს. ნუთუ ამ ქვეყანაში ყველაფერი იმდენადაა მოგვარებული, რომ არჩევითობის "ირიბობა - პირდაპირობის" გარდა აღარაფერია საკამათო? ძნელია, არ დაეთანხმო ხელისუფლების ერთ-ერთ ლიდერს იმაში, რომ ქვეყანაში არ არსებობს პოლიტიკური ოპოზიცია, მაგრამ ამ განცხადებიდან ავტომატურად გამომდინარეობს ისიც, რომ ქვეყანაში არ არსებობს არც პოლიტიკური პოზიცია ამ სიტყვის პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. თუ პასუხისმგებლობას მოვიხსნით და ყველა მნიშვნელოვანი გადაწყეტილების მიღებას სხვას, თუნდაც მეგობარს გადავაბარებთ (ვაღიაროთ, რომ დღეს ამას გარედან ცხადად აღარავინ გვაიძულებს), დაგვრჩება ის, რაც გვაქვს: ფსევდო-პრობლემების "განხილვა", რომლის სიმძაფრე სრულიად არ მატებს მას სიღრმეს ან დამაჯერებლობას. ეს შეხლა-შემოხლა სიმართლის უთქმელობის გამო ჩვენში დაგროვილი ნეგატიური ენერგიის გამოვლინებაა მხოლოდ და ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ ჩვენი ეროვნული ცნობიერება დანაწევრებული რჩება: თუ ის, რაც ერთისთვის სიამაყის მომგვრელია, სხვისთვის სამარცხვინოა, ერი ცალკეული სუბიექტების მექანიკურ კრებულზე დაიყვანება. თუ არსებული მდგომარეობა შენარჩუნდა, ჩვენი სამშობლოსაგან, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება შედარებით კეთილმოწყობილი ტერიტორია მივიღოთ, სადაც ერთმანეთის მიმართ გაუცხოებული "მოსახლეობა" ბინადრობს და არა ერი.

თუ თქვენთვის ეს აუტანელი პერსპექტივაა და არა მომავლის იმედიანი სურათი, გთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას განსჯისათვის, რომელსაც შეკითხვების ღია ჩამონათვალი მოსდევს. პასუხების ძიებამ იქნებ საერთო ათვლის წერტილი გვაპოვნინოს.

■ საბჭოთა იმპერია მასში საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ გაერთიანებული ერების შეგნებულმა წინააღმდეგობამ დაანგრია და არა დრომოჭმული სისტემის რეფორმირებისას დაშვებულმა შეცდომებმა, ვინმეს "კეთილმა ნებამ" ან რაიმე სახის "შეთქმულებამ". ამიტომ და მხოლოდ ამიტომ არ მოხერხდა საბჭოთა კავშირში ის, რაც მოხერხდა ჩინეთში: ტიან ან მენის მოედანზე და რუსთაველის გამზირზე განხორციელებული დარბევები საპირისპირო შედეგებით დასრულდა. იმპერიის რღვევაში განსაკუთრებული წვლილი ქართველებმა შევიტანეთ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ უმძლავრესი რეპრესიული სისტემაც კი უძლურია თუნდაც მცირერიცხოვანი ერის გაერთიანებული ძალისხმევის წინააღმდეგ. 9 აპრილის შემდეგ უმოკლეს ვადაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების სრული დემონტაჟი განხორციელდა. საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელიც სრულად გაიწმინდა საბჭოთა სიმბოლიკისაგან, უმძლავრესი კომუნისტური პარტიისაგან; ქართველებმა ერთი ხელის მოსმით ჩავშალეთ საბჭოთა არმიაში გაწვევა. ამ მოვლენათა მასშტაბი და მნიშვნელობა უსწრაფესად შეაფასეს სხვებმაც, განსაკუთრებით - ლიტველებმა და მყისვე ეცადნენ საკუთარი მიზნებისათვის მის გამოყენებას. დეპუტატთა საკავშირო ყრილობაზე პირველივე მათი გამოსვლა 9 აპრილის შეფასებას დაეთმო. მიამიტობა იქნებოდა ამის მხოლოდ თანაგრძნობის გამოცხადებად აღქმა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ეროვნულ ცნობიერებაში ამ მოვლენის ერთიანი და ჭეშმარიტი ასახვა მოხდა, რომლის განეიტრალებას აგერ უკვე ათ წელზე მეტია, ცდილობენ - არცთუ უშედეგოდ.

■ საბჭოთა იმპერიის რღვევის იდეა უკიდურესად არაპოპულარული იყო დასავლეთის პოლიტიკური ელიტისათვის. დიდი პოლიტიკური ერთეულით მანიპულირება ხომ ბევრად უფრო იოლია. თუ ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობას ისტორიულ და სხვა მიზეზთა გამო კიდევ ჰქონდა რამდენადმე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, საქართველოზე ამის თქმა შეუძლებელია. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ აგონიაში მყოფმა საბჭოთა კავშირმა აღიარა ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობა, მაგრამ არა საქართველოსი. ამითვე აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენსავით დამოუკიდებლობადეკლარირებული და არ-აღიარებული ლიტვისა და ბალტიის სხვა ქვეყნების მთავრობები დუმილით პასუხობდნენ ჩვენს არაერთ შეთავაზებას ურთიერთაღიარების შესახებ. 1991 წლის შემოდგომაზე კი უკვე აღიარებული ლატვიის იმდროინდელმა პრემიერმინისტრმა პირდაპირ განაცხადა: - ჯერ ამერიკამ გაღიაროთ". ეს მხოლოდ ფორმით იყო სნობიზმის გამოვლინება, შინაარსით კი - საქართველოს მიმართ საერთაშორისო დამოკიდებულების საჯარო დემონსტრაცია გახლდათ. ეს არის ფაქტი და არა ის, თითქოს ეს დამოკიდებულება 1991 წლის 2 სექტემბერს ედპ-ს გამოყენებით ორგანიზებულმა პროვოკაციამ "გააფუჭა".

■ ქართულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ წარმატებით გაართვა თავი ყველა ურთულეს გამოცდას, რაც **ერთიანი ეროვნული ცნობიერების** ზეიმი იყო. გავიხსენოთ ნიჰილისტურად განწყობილი ელიტის "პერესტროიკის" დაწყებიდან მოყოლებული წუწუნი: "ყველგან რაღაც ხდება, მხოლოდ ჩვენშია სრული მდუმარება" - 9 აპრილს ქართველობამ უმაგალითო სიცხადით გამოხატა თავისუფლების სურვილი; მაშინ ბალტიისპირეთში "რესპუბლიკურ სამეურნეო ანგარიშზე " საუბრობდნენ მხოლოდ. შემდგომში წუწუნის ხასიათი შეიცვალა: "ჩვენ მხოლოდ ქუჩის აქციები გვეხერხება" - ეროვნულმა მოძრაობამ მშვიდობიანი გზით მიაღწია პირველი თავისუფალი მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნას და ამ არჩევნებში კომუნისტების დამარცხებას. კიდევ კარგი, ის მაინც არაა საკამათო, რომ ეს და ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩატარებული სხვა არჩევნები ერთადერთ გაუყალბებელ არჩევნებად რჩება დღემდე.

■ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თავგანწირვით იქნებ სხვებმა გვაჯობეს (მაგალითი აქვეა - კავკასიონის გადაღმა), მაგრამ ღირსებით - ვერავინ. არსად ეს ბრძოლა არ ყოფილა ასე თავისუფალი მატერიალური ელემენტისაგან. არავინ არ ელოდებოდა ამ ბრძოლისაგან ქვეყნის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ამ ბრძოლის ჭეშმარიტ ლიდერებს არასოდეს მიუციათ საკუთარი თავისათვის ამ თემაზე მსუბუქი სპეკულაციის ნებაც კი. პატრიოტისთვის ეს საამაყოა, პრაგმატიკოსისთვის - სასაცილო..

■ დამოუკიდებლობა არა ციდან ჩამოვარდნილი მოულოდნელობა, არამედ სისხლხორცეული მოთხოვნილება იყო, რომელიც ქართველებმა სისხლითა და ოფლით მოვიპოვეთ, ის ადამიანები კი, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ - საეროო ეროვნული საქმისათვის თავდადებული გმირები. თუ ეროვნული ცნობიერება ბრძოლის ველზე დაცემას დამარცხებად მონათლავს, ასეთი ცნობიერების ერი თავადაა მარცხისათვის განწირული, რადგან წარმატების ერთადერთ საზომად პირადული წარმატება გაუხდია. ამ კრიტერიუმებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და ჯოჰარ დუდაევს მართლაც "ცუდად დაუმთავრებიათ", შევარდნაძეს კი - "კარგად". მაგრამ მაშინ იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ საფარმურად ნიაზოვის წარმატების მაჩვენებელი აბსოლუტურს უახლოვდება და ის ყველა დროის გენიალური პოლიტიკოსია. თუ 9 აპრილს აზვირთებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მხოლოდ რომანტიული ფანფარონობა იყო, "ის ქვეყანა" თუ თავისით ინგრეოდა, ყველანი, ვინც ამაში მონაწილეობა მივიღეთ, კლინიკური იდიოტები ვყოფილვართ, მეტადრე - ქართველები და ლიტველები. ყველაზე ჭკვიანები კი თურქმენები გამოდიან, ყურთბალიშზე ტკბილად რომ ეძინათ, ერთ მშვენიერ დღეს კი... "Я проснулся , эдрассте - нет советской власти".

■ ერთიანი ეროვნული ცნობიერების პირობებში, არაღიარებული ქვეყნის ხელისუფლება წარმატებით უმკლავდებოდა საბჭოთა კავშირის ღია აგრესიას შიდა ქართლში. თვით ფაქტი ამ ხელისუფლების არსებობისა გადაულახავ პრობლემებს უქმნიდა ჩვენს მტერს ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც თბილისი, ერთი ინგუში მოღვაწის თქმისა არ იყოს, "თავისუფლების მექად" აღიქმებოდა, ხოლო ზვიად გამსახურდია - კავკასიის პრეზიდენტად. გაეროში გაწევრიანებული ქვეყნის სათავეში გადატრიალების შედეგად მოსულმა "პრაგმატიკოსებმა" სამაჩაბლოში კაპიტულაციას აფხაზეთის ავანტიურა მოაყოლეს. ამას მოჰყვა დაუსრულებელი ლაპარაკი რუსეთის "ღალატზე", თითქოს შეესაძლებელი იყოს მტრისაგან ღალატი. ამ მოვლენათა ჯაჭვის სერიოზული ანალიზი დღემდე არავის უცდია, სამაგიეროდ ეროვნული ხელისუფლების მიღწევათა რევიზიის ახალი ტალღა აგორდა, რომლის უპრინციპობისა და სიბრიყვისა თვით შევარდნაძესაც კი შეშურდებოდა. აკი ღიად ტრაბახობენ კიდეც - "ფაშიზმი ერთხელ უკვე გადავტეხეთ ხერხემალში, თუ საჭირო გახდა, კიდევ გადავტეხთ"... აშკარა პროგრესია: ფაშიზმი "პროვინციული" აღარაა.

შეიძლებოდა თუ არა ამ ბრძოლიდან ნაკლები დანაკარგებით გამოსვლა? ჰქონდა თუ არა ამ ბრძოლას სხვა ალტერნატივა, გარდა რუსულ "სორტირში" საბოლოოდ ჩარჩენისა? ვაკეთებთ თუ არა სწორ არჩევანს, როდესაც ამის საშუალება გვეძლევა და ვიცავთ თუ არა საკუთარ არჩევანს? მოახერხეს თუ არა ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებმა განვითარების ნორმალური კალაპოტში 200 წლის შემდეგ დაბრუნებული ქვეყნის ამ კალაპოტიდან ხელმეორედ ამოგდება 1992 წელს? გვჭირდება თუ არა ამ მოვლენათა სწორი შეფასება? დაბოლოს: გვჭირდება თუ არა **ერთიანი ეროვნული ცნობიერება**, თუ ეს ანაქრონიზმია როგორც ზოგიერთ, მატერიალური თვალსაზრისით ჩვენზე ბევრად დაწინაურებულ ქვეყანაში ფიქრობენ? ჯერ ეს გადავწყვიტოთ და ამის შემდეგ, ალბათ, მრავალ ისეთ პრობლემას აღმოვაჩენთ, რომელსაც დღეს საერთოდ ვერ ვხედავთ, ბევრი პრობლემა კი "სიმძაფრეს" დაკარგავს ან უმალ გაუჩინარდება კიდეც. არც იმის გარკვევა გაგვიჭირდება, სადაა ჭეშმარიტი აქტივობა და სად - აქტივობის სიმულაცია.

პრეზიდენტ ბუშის გამოსვლიდან: "1991 წლის 9 აპრილს თქვენ მსოფლიოს გამოუცხადეთ, რომ საბჭოთა საქართველო აღარ არსებობს და მას თავისუფალი საქართველოს დაბადება ამცნეთ!"... ნეტავ რა ხდება? "დინების საწინააღმდეგოდ ცურვას" ხომ არ გვთავაზობენ? ვფიქრობთ, მოცურავის პოვნა გაძნელდება...

სისხლიანი ანგარიშსწორება პალესტინის უკეთესი მომავლისათვის

პალესტინაში დაძაბულობა დღითიდღე იზრდება. იანვარში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვეა დარჩენილი, მაგრამ ძალაუფლებისთვის ბრძოლა მხოლოდ კანონის ჩარჩოებში რომ არ მოთასდება, დღესვე აშკარაა.

გუშინ კიდევ ერთი ხმაურიანი დანაშაული მოხდა - ღაზაში საკუთარ სახლში მოკლეს გავლენიანი პალესტინელი, იასირ არაფატის მომხრეთა ერთ-ერთი ლიდერი მუსა არაფატი.

65 წლის გენერალი არაფატი ოთხშაბათს გამთენიისას მოკლეს, როცა მის საცხოვრებელ სახლზე ათობით შეიარაღებულმა ნიღბიანმა მიიტანა იერიში. ტელეარხ "ალ-არაბია"-ს ცნობით, იასირ არაფატის ბიძაშვილის, პალესტინის ავტონომიის უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის მუსა არაფატის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა ნაკლებად ცნობილმა პალესტინურმა დაჯგუფებამ "სახალხო წინააღმდეგობის კომიტეტმა" აიღო.

"კომიტეტის" წარმომადგენელმა ტელეარხს აცნობა, რომ დაჯგუფება არაფატის მკვლელობის მიზეზს მოგვიანებით გამოაცხადებს. აღსანიშნავია, რომ თავდასხმის დროს შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს მუსა არაფატის უფროსი ვაჟი, რომელსაც პალესტინის უშიშროების სამსახურში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა.

მოგვიანებით, ისრაელის არმიის რადიოსადგურმა პალესტინის ავტონომიის უშიშროების სტრუქტურების წყაროებზე დაყრდნობით, გაავრცელეს ცნობა, რომ პალესტინელმა ბოევიკებმა წუხელ მოკლული პალესტინის ლიდერის სამხედრო მრჩევლის მუსა არაფატის უფროსი ვაჟი მანჰალიც დასაჯეს სიკვდილით.

პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა მუსა არაფატის მკვლელობასთან დაკავშირებით ეროვნული უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა გამართა. მან პალესტინის ძალოვან სტრუქტურებს ამ დანაშაულის უმოკლეს ვადაში გახსნა დაავალა და თავდამსხმელებს უშიშროების სამსახურის ექს-ხელმძღვანელის ვაჟის გათავისუფლებისკენ მოუწოდა.

მუსა არაფატი უშიშროების სამსახურის შეფის თანამდებობიდან მაჰმუდ აბასმა 2005 წლის იანვარში გაათავისუფლა, თუმცა, ახლახანს კვლავ დააბრუნა სახელმწიფო სამსახურში და თავის სამხედრო მრჩევლად დანიშნა.

უნდა ითქვას, რომ მუსა არაფატზე თავდასხმას აქამდე უკვე ორჯერ ჰქონდა ადგილი. გავრცელებული ინფორმაციით, მუსა არაფატმა საკმაოდ ბევრი მტერი გაიჩინა პალესტინურ სამხედრო ძალებში ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში. გარკვეული დროის მანძილზე იგი მძლავრ დაზვერვის დაჯგუფებასაც ხელმძღვანელობდა.

1996 წელს მუსა არაფატი მონაწილეობდა ექსტრემისტული დაჯგუფებების - "ჰამასისა" და "ისლამური ჯიჰადის" გამოსვლების ჩახშობაში. უფრო მეტიც, იგი - ექსტრემისტთა დამცირების მიზნით - დაკავებულებს თმას და წვერს პარსავდა.

ისრაელის მიერ ღაზას სექტორის დატოვებას მუსა არაფატის მკვლელობა მოჰყვა.

2004 წელს, იასირ არაფატის დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე, მუსა არაფატის პალესტინის უსაფრთხოების ძალების ხელმძღვანელად დანიშვნას მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა ღაზას სექტორში. საგულისხმოა, რომ ეს აქციები არცთუ იშვიათად გადაზრდილა შეიარაღებულ დაპირისპირებაში. ძალიან ბევრი პალესტინელი მუსა არაფატს "ძველი თაობის" წარმომადგენლად მიიჩნევდა და ღიად სდებდა ბრალს კორუფციაში. ვითარება მხოლოდ მას შემდეგ განიმუხტა, რაც ქუჩის დაპირისპირებების შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა და პალესტინის ყველაზე ცნობილი სახე იძულებული გახდა, მისი ბიძაშვილი თანამდებობიდან გადაეყენებინა.

აშკარაა, მოსალოდნელი არჩევნების წინ მუსა არაფატის სიკვდილი კიდევ უფრო შეასუსტებს პალესტინის ყოფილი ხელძღვანელის მომხრეების პოზიციებს. თუმცა, ზოგიერთი მიმომხილველი გუშინდელ შემთხვევას ისრაელის მიერ ღაზას სექტორის დატოვების თანმხლებ მოვლენადაც აღიქვამდა.

24 საათი

ერაყის ყოფილი დიქტატორი ძველ ცოდვებს აღიარებს

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ალ-ანფალში 1986-1989 წლებში ქურთების წინააღმდეგ წარმოებულ სისხლიან კამპანიას 100 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა და უამრავი სოფელი განადგურდა.

ალ-ანფალის მოვლენების გარდა, სადამ ჰუსეინს 1991 წელს ერაყის სამხრეთ ნაწილში შიიტთა მასობრივი მკვლელობაც ედება ბრალად. ქვეყნის სამხრეთ ნაწილში აჯანყების ჩასახშობად განხორციელებულ ოპერაციებს 150 000-ზე მეტი შიიტი მუსლიმი ემსხვერპლა.

ექსპერტთა შეფასებით, თალაბანის ასეთი განცხადება შეიძლება ერაყელი ხალხის გაფრთხილებადაც ჩაითვალოს სადამ ჰუსეინისთვის სიკვდილით დასჯის შეფარდების შესახებ. როგორც ცნობილია, ერაყში 2003 წლის მარტში აშშ-ს შეიარაღებული ძალების შესვლის შემდეგ სასჯელის ეს ფორმა გაუქმდა, მაგრამ უკანასკნელ ხანს 3 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც დამნაშავეები სიკვდილით დასაჯეს. სადამ ჰუსეინისთვის წაყენებული ბრალდებების დამტკიცების შემთხვევაში, არაა გამორიცხული, სასამართლომ ყოფილ დიქტატორს ჩამოხრჩობა მიუსაჯოს. სასამართლო პროცესი 19 ოქტომბერს დაიწყება.

სადამ ჰუსეინის აღიარებას "შეთითხნილი" უწოდა ყოფილი დიქტატორის ოჯახის ადვოკატმა.

"სადამ ჰუსეინის მიერ დანაშაულის აღიარება ჩემთვის სიურპრიზია, დიდი სიურპრიზი. მას ჩემთან შეხვედრისას მსგავსი არაფერი უთქვამს. ეს რა, თალაბანის ცრუ ინფორმაციაა?", - განაცხადა სადამ ჰუსეინის ადვოკატმა აბდელ ჰაყ ალანიმ სააგენტო "ესოშიეითიდ პრეს"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესის დაწყებამდე კი, 4 დღით ადრე ერაყის ახალი კონსტიტუციის პროექტს გაიტანენ სახალხო სამსჯავროზე; რეფერენდუმის შედეგებით კი ცნობილი გახდება, შეძლებენ თუ არა სუნიტები საკუთარი პოზიციების დაცვას.

ირანის ბირთვული საფრთხე სავსებით რეალურია

ლონდონის ერთ-ერთი გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, ირანის ისლამურ რესპუბლიკას ბირთვული იარაღის შექმნამდე ცოტაღა დარჩა. ამგვარი დასკვნების გაკეთების საშუალებას საერთაშორისო სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტებს ირანის ქმედებები აძლევს ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის სფეროებში. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა შორი რადიუსის მოქმედების რაკეტების შექმნაზეც მუშაობს.

მოხსენებაში, სათაურით "სტრატეგიული შეიარაღების ირანისეული პროგრამა - საერთო შეფასება", ავტორები აღნიშნავენ, რომ ირანის პოლიტიკური შეკავება არცთუ ისე უსაზღვროა. ინსტიტუტის მიერ მომზადებულ ანგარიშში მოცემულია ჯერ კიდევ შაჰის მმართველობის პერიოდიდან - 1950-იანი წლების ბოლოდან შექმნილი პოლიტიკური წინაპირობები და ირანის ბირთვული პროგრამის განვითარების ეტაპები. თუმცა, აქ ვერსად ნახავთ ირანის პოლიტიკური განზრახვის შეფასებებს. აქცენტი მთლიანად გაკეთებულია ურანის წარმოებასა და გამდიდრებაზე, რომელიც ოფიციალური თეირანის მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების აუცილებლობით აიხსნება. იგივე ტექნოლოგია ბირთვული ბომბისთვის რადიაქტიური ნედლეულის გამომუშავების საშუალებასაც იძლევა.

ანგარიშის ავტორთა თქმით, ირანმა აღიარა, რომ უკვე 20 წელია, რაც ურანის გამდიდრებაზე ექსპერიმენტებს ატარებს. სწორედ ამის გამო ითხოვს აშშ და ევროკავშირი ირანისაგან ურანის გამდიდრებაზე მუშაობის შეწყვეტას. მიუხედავად იმისა, რომ ირანი თანახმა იყო, ზოგიერთ დათმობაზეც წასულიყო, ექსპერტები ირანის პოზიციებს მაინც პესიმისტურად უყურებენ. პესიმიზმის საფუძველს კი მათ ნამდვილად უქმნის ირანის გადაწყვეტილება ურანის პროგრამაზე მუშაობის გააქტიურების შესახებ.

ირანმა აღიარა, რომ უკვე 20 წელია, რაც ურანის გამდიდრებაზე ექსპერიმენტებს ატარებს.

ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით კრიზისი ნებისმიერ დროს შეიძლება გამწვავდეს, მით უფრო, რომ რამდენიმე წელიწადში ამ სახელმწიფომ შეიძლება სრულყოფილი ბირთვული იარაღი შეიმუშაოს. საერთაშორისო სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტების აზრით, საამისოდ ირანს ორი ტექნიკური პრობლემის დაძლევა სჭირდება: პირველი - საკმარისი რაოდენობით რადიაქტიური ნედლეულის წარმოება; და მეორე - ქობინების შექმნა. **ბი-ბი-სი**

ორი სიტყვით

ეგვიპტე. გუშინ ეგვიპტეში გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც რამდენიმე კანდიდატი მონაწილეობს, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ამ ქვეყნის ისტორიაში. სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობას ათი კანდიდატი უმიზნებს, თუმცა მოელიან, რომ 77-წლის ჰოსნი მუბარაკი, ნახევარი საუკუნე რომ მართავს ქვეყანას, პრეზიდენტის სავარძელს შეინარჩუნებს. აქამდე არჩევნები ეგვიპტეში რეფერენდუმის ფორმატით ტარდებოდა - ერთადერთ კანდიდატს პარლამენტი ასახელებდა ფორმალურად. ჰოსნი მუბარაკმა ამჟამინდელ არჩევნებს - დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისკენ გადადგმული ახალი ნაბიჯი უწოდა. ოპოზიციას მიაჩნია, რომ ქვეყანაში ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

რუსეთი. იტალიაში დასასვენებლად მყოფმა რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა თეძოს ძვალი მოიტეხა. ამის შესახებ ესპანური სააგენტო "ეფე" კუნძულ სარდინიის ექიმებზე დაყრდნობით იუწყება. უბედური შემთხვევა გუშინ დილით დაბა პორტო-როტონდოში სახლის პირობებში მოხდა. "ეფეს" ინფორმაციით, ელცინმა ფეხი რაღაცას წამოკრა. 74 წლის ელცინს სამედიცინო დახმარება ადგილობრივმა საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში აღმოუჩინეს - დაზიანებული კიდური მას თაბაშირში ჩაუსვეს. **ინტერპრესნიუსი**

დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2005 წლის 23 აგვისტოს , გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში, რომელიც შეეხება 3 (სამი) მაღალი განვლადობის "4X4" მსუბუქი ავტომანქანის ღია ტენდერის საშუალებით შესყიდვას, პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, საინდ. კოდი 211343982, ანგარიშის N000141408, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს 3 (სამი) მაღალი განვლადობის "4X4" მსუბუქი ავტომანქანის შესასყიდად, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ახალი, 2005 წელს გამოშვებული მანქანები:

ერთი ავტომანქანა :

ძარა	ხუთკარიანი;
ტევადობა	მინიმუმ 5/მაქსიმუმ 7 ადგილი;
საწვავის ტიპი	ბენზინი;
ძრავის მოცულობა	არანაკლებ 3,5 ლ;
სიმძლავრე	არანაკლებ 200 ც/ძ;
სრული ელექტროპაკეტი (ბორტკომპიუტერი);	
პასიური და აქტიური უსაფრთხოების სისტემები;	
კონდიციონერი კლიმატ-კონტროლით;	
გატაცების საწინააღმდეგო სისტემა	
გარანტია	არანაკლებ 2 წლისა

ერთი ავტომანქანა :

ძარა	ხუთკარიანი;
ტევადობა	მინიმუმ 5/მაქსიმუმ 7 ადგილი;
საწვავის ტიპი	ბენზინი;
ძრავის მოცულობა	არანაკლებ 2,5 ლ;
სიმძლავრე	არანაკლებ 170 ც/ძ;
სრული ელექტროპაკეტი (ბორტკომპიუტერი);	
პასიური და აქტიური უსაფრთხოების სისტემები;	
კონდიციონერი კლიმატ-კონტროლით;	
გატაცების საწინააღმდეგო სისტემა	
გარანტია	არანაკლებ 2 წლისა

ერთი ავტომანქანა :

ძარა	არანაკლებ 3 კარისა;
ტევადობა	არანაკლებ 5 ადგილი;
ძრავის მოცულობა	არანაკლებ 1.7 ლ;
სიმძლავრე	არანაკლებ 80 ც/ძ;
გარანტია	არანაკლებ 1 წლისა

მიიღება ალტერნატიული წინადადებები იგივე ტექნიკური მახასიათებლების ტექნიკურად გამართული მანქანების მოწოდებაზე, რომლებიც გამოშვებულია 2004 წლის 01 იანვრის შემდეგ და მათი გარბენა ექსპლუატაციის დაწყებიდან არ აღემატება 20 000 კმ

სატენდერო კომისია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის N36/2005 განკარგულების საფუძველზე კავშირებს: "საქართველოს ახალგაზრდობის კონსერვატიული კავშირი", "სამართლებრივი საქართველო" და "სამოქალაქო სახელმწიფო - დემოკრატიულ რეგიონები" მიენიჭათ დამკვირვებლის სტატუსი.

ცესკოს N37/2005 განკარგულებით კავშირს "დემოკრატიის ცენტრი" უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აღნიშნული განკარგულებები გამოქვეყნებულია ცესკოს ვებგვერდზე www.cec.gov.ge.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს თბილისში განლაგებული შენობა - ნაგებობების ფასადების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: სარემონტო ფართი - 150.00მ2, კედლის გაწმენდა (გაფხეკვა), კედლის დამუშავება ფასადის ფითხით, გრუნტით, კედლის გალესვა ქვიშა - ცემენტის ხსნარით, ფასადის შეღებვა 2 პირი ფასადის საღებავით.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 1 ნოემბერი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 26 სექტემბრის 12 საათიდან 27 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ: cx

N	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შესრულებული სამუშაოს ტიპი	დასრულების თარიღი

- ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ: cx

N	მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთარი,იჯარით აღებული (ვისგან)

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ:

თანამდებობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება(წელი)	ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება, წელი)

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 28 სექტემბრის 12 საათიდან 29 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიგა ნემსიწვერიძე-საკონტაქტო ტელეფონი 99-05-39 და ნუგზარ კალაძე-საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

ჩოგბურთი

რუსმა რუსი მოიშორა

ნახევარფინალი შარაპოვა - კლიისტერსისაა

თანამემამულეზე ნადეჟდა პეტროვაზე გამარჯვებით - 7:5, 4:6, 6:4 მარია შარაპოვამ პირველად საკუთარ კარიერაში აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში გააღწია, სადაც რუს ჩოგბურთელს ურთიერთობის გარკვევა ბელგიელ კიმ კლიისტერსთან მოუწევს.

შარაპოვა კლიისტერსს სამჯერ შეხვდა და სამივეჯერ დამარცხდა.

მოხდა ისე, რომ აშშ-ის ღია პირველობაზე კენჭისყრამ მეოთხედფინალში ერთმანეთს დაუპირისპირა ორი რუსი - პირველ ნომრად განთესილი მარია შარაპოვა და მსოფლიოს მეცხრე ჩოგანი ნადეჟდა პეტროვა. სტატისტიკა კი შარაპოვას უპირატესობაზე მიუთითებდა: მარიას ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე პეტროვასთვის აქამდე ორჯერ მოეგო. პირველად 2003 წელს. მაშინ, როდესაც შარაპოვა 16 წლის იყო.

თითქოსდა ამჯერადაც იოლად უნდა გაემარჯვა მსოფლიოს მეორე ჩოგანს, მაგრამ პირველი სეტში, როდესაც შარაპოვა 4:1 დაწინაურებულიყო, პეტროვამ თანამემამულე საკმაოდ გააწვალა და საქმე ბრეიკამდეც მიიყვანა. პირველი სეტი 54 წუთს გაგრძელდა, მაგრამ მარიამ გამარჯვების მოპოვება მაინც მოახერხა - 7:5. ვითარება მეორე სეტში უფრო დაიძაბა. ჯერ იყო და პეტროვამ სეტის დასაწყისშივე მოწოდება აართვა შარაპოვას, შემდეგ ინიციატივაც იგდო ხელთ და ბოლოს სეტებს შორის ანგარიშიც კი გაათანაბრა.

"მეორე სეტში თამაში არ წამივიდა. ვგრძნობდი, რომ ძალზე ბევრ შეცდომას ვუშვებდი, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. ვერა და ვერ განვეწყვე სათანადოდ", - შეხვედრის შემდეგ აცხადებდა შარაპოვა.

სათანადოდ განწყობა შარაპოვამ მხოლოდ შესვენების შემდეგ მესამე სეტში შეძლო, რაც გადამწყვეტიც აღმოჩნდა. 43 წუთს გაგრძელებული მესამე სეტი სრულად შარაპოვას კარნახით წარიმართა.

"ყველაფერი ერთ მომენტში შეიცვალა. ასეთი რამეებიც ხდება ჩოგბურთში", - თითქოს თავს იმართლებდა კიდეც შარაპოვა.

"ძალზე ვარ განაწყენებული. გადამწვეტ გეიმში საკუთარ მოწოდებაზე 40:15 ვიგებდი, მაგრამ წავაგე. ახლა ვგრძნობ, ის გეიმი რომ მომეგო, შარაპოვას ნერვები უმტყუნებდა და მეც გამარჯვების კარგი შანსი გამიჩნდებოდა", - იმედგაცრუებული აცხადებდა პეტროვა.

ახლა ნახევარფინალში შარაპოვას, ალბათ, მისთვის ყველაზე უხერხული მეტოქე კიმ კლიისტერსი ელოდება. მძიმე ტრავმის მერე ბრწყინვალე ფორმაში შესულ 22 წლის ბელგიელს რუსი ჩოგბურთელისთვის მოგებული აქვს სამივე შეხვედრა, ამასთან ბოლო წლეულს მარტში, მაიამში.

კიმი ამჯერადაც გამარჯვებისთვის ემზადება: "შარაპოვა ძალზე ნიჭიერი გოგოა - მებრძოლი ხასიათით. ასე რომ, მზად ვარ, გამოწვევა მივიღო. ვიბრძოლებ თითოეული ბურთისთვის, დანარჩენს კი თამაში გვაჩვენებს".

კალათბურთი

ფინეთის იმედით!

საქართველო - მაკედონია 73:60

დამეთანხმებით, რომ საქართველოს ნაკრები ასეთი შთამბეჭდავი ანგარიშით უაღრესად იშვიათად იგებს. წინა საკვალიფიკაციო ეტაპზე ბულგარეთის დამარცხების შემდეგ ჩვენს კალათბურთელებს ესოდენ დიდი შემართებით აღარ უთამაშიათ და შესაბამისად, არც ვყოფილვართ ისეთი გულდაწყვეტილები, როგორც ახლა.

ჩვენმა გუნდმა გუშინ ისე ითამაშა, როგორც A კატეგორიის ნაკრებს ეკადრება, მაგრამ დიდი შანსია, რომ საქართველოს ნაკრები ორი წლის შემდეგაც B კატეგორიაში დაიწყებს თამაშს. არადა, ფინეთში დასანანი მარცხი, რომ არა, შეგვეძლო ჩვენი გუნდის პირველობა ახლავე გვეზეიმა. თუმცა მოხდა ისე, რომ ახლა ფინეთის იმედზე ვრჩებით. 10 სექტემბერს ჩვენ სპორტის სასახლეში ლუქსემბურგი უნდა დავამარცხოთ. ფინეთმა კი მაკედონიაში უნდა მოუგოს ჩვენ მიერ ნაგვემ ბალკანელებს. სიმართლე რომ ითქვას, ფინეთმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენთან შეხვედრაში, ვიდრე მაკედონიამ და კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ფინეთი მაკედონიაზე უკეთესი გუნდია და, შესაბამისად, გამარჯვების შანსიც აქვს, მაგრამ მეორე მხრივ მაკედონიელებმა ფინეთი მისსავე სკანდინავიაში დაამარცხეს და სულაც არ იქნება საკვირველი, იგივე საკუთარ კედლებშიც გაიმეორონ. ამ შემთხვევაში კი საქართველოს ნაკრები კიდევ ორი წლით დაემშვიდობება საკალათბურთო ელიტას.

თუ ასე მოხდა, ქართველმა კალათბურთელებმა მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. ფინეთში ჩვენი გუნდი უაღრესად უსუსურად გამოიყურებოდა. თბილისში კი რამდენიმე ეპიზოდში დიდი კალათბურთის ფრაგმენტები შემოგვთავაზა. მაგალითად, ფინეთში მრავალსვლიანი კომბინაციები ფარქვეშ ზუსტი ტყორცნით იშვიათად მთავრდებოდა. ჩვენებს უჭირდათ კომბინაციების გათამაშება. მაკედონიის წინააღმდეგ კი მესამე და, განსაკუთრებით, მეოთხე მეოთხედში ქართველი კალათბურთელები მეტოქის ფარქვეშ იმდენად იოლად შედიოდნენ, რომ ბალკანელები და აბსოლუტურად დაბნეული ხვდებოდნენ ჩვენს შეტევებს.

მთავარი კი ის არის, რომ გარედან ნატყორცნ არაზუსტ სამქულიანებს ფარქვეშ დროულად ხვდებოდნენ ცქიტიშვილი და ფაჩულია. სწორედ ფარქვეშ მარიფათიანმა მოქმედებამ უზრუნველყო საქართველოს ნაკრების ესოდენ შთამბეჭდავი ჰანდიკაპი მაკედონიელებთან შეხვედრაში. ახლა კი ყველაფერი ფინეთის მარიფათზეა დამოკიდებული.

ფეხბურთი

ბექჰემი დაიცვენტრა

ინგლისის ნაკრების კაპიტანის დევიდ ბექჰემს, რომელსაც სანაკრებო დონეზე თითქმის მთელი კარიერა მარჯვენა ნახევარმცველად უთამაშია, ალბიონელთა შვედი თავკაცის სვენ-გორან ერიკსონის ექსპერიმენტის შედეგად ცენტრში მიუჩინეს ადგილი.

"მომეწონა, - უელსელებთან ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შემდეგ აღიარა ბექჰემმა, რომელიც ახალ ამპლუაში თამაშისას ზუსტი გადაცემებით ამარაგებდა განაპირა ჰავბეკებს შონ რაიტ-ფილიპსა და ჯო კოულს, ასევე თავდამსხმელ უეინ რუნის. - როდესაც მოედნის ცენტრში მოქმედებ, მეტად ფლობს ბურთს. ცენტრში თამაშისას სრულ სიამოვნებას ვღებულობდი და ვცდილობდი, პარტნიორებთან მრავალფეროვანი კომბინაციები ამეწყო".

ბექჰემი, რომელსაც ნაკრებისგან განსხვავებით მადრიდის "რეალში" ცენტრში ათამაშებენ, იმასაც უსვამს ხაზს, რომ საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე მოქმედებისას იგი მნიშვნელოვნად დაეხმარა ცენტრალურ მცველებს რიო ფერდინანდსა და ჯეიმი კარაგერს.

"რიომ აღნიშნა, რომ ჩვენი დაცვა უფრო გამყარდა, მისთვის კი ასე თამაში ბევრად მოსახერხებელი იყო. თუ ახალი ამპლუით მართლაც ვეხმარები ორ ცენტრალურ მცველს, ეს ძალიან კარგი. დაცვაში თამაში ჩემი არცთუ ძლიერი მხარეა. მაგრამ იმავდროულად სრულად მზად ვარ დაცვისთვის".

კითხვაზე, გახდება თუ არა მისთვის ნაკრებში საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია ახალი ამპლუა, ბექჰემმა უპასუხა: "შესაძლოა. თავს კომფორტულად ვგრძნობ, როდესაც ბურთებს აქეთ-იქით ვარიგებ. ასეთი როლი მეტ სიამოვნებას მანიჭებს. კარაგერი, ფერდინანდი და მე ვქმნით სამკუთხედს. მათი ჩემი მოძებნა ზუსტი პასით შეუძლიათ, მე კი ბურთს მისამართს შეუცვლი და სხვას გადავაწოდებ".

ბელფასტში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბექჰემს კვლავაც შეეძლება, ითამაშოს ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე. ინგლისელთა უმთავრესი საზრუნავი კი პოლონეთის დაწევაა, რომელსაც ერთით მეტი შეხვედრა ჩაუტარებია და მეექვსე შესარჩევ ჯგუფში ლიდეროზს. რაც შეეხება ფეხბურთის ფუძემდებლებთან ქულათა სხვაობას, პოლონელები ინგლისელებს ორი ქულით უსწრებენ.

ინგლისის ნაკრების კაპიტანი თვლის, რომ იმ შემთხვევაში თუ ინგლისის ნაკრები შეძლებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გასვლას, გუნდისთვის აუცილებელი იქნება, ალტერნატივა მოუძებნოს სტანდარტულ სქემას 4-4-2. (სხვათა შორის, უელსთან მატჩისას ერიკსონმა გუნდი 4-5-1 სქემით ათამაშა. რედ.) რაც შეეხება 4-4-2 სქემას, ერიკსონი მას ინგლისის ნაკრებში საკმაო ხნის განმავლობაში მიმართავს და ძალზე იშვიათად ცვლის ფეხბურთელებს.

"ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, გვყავდეს კარგად შეთამაშებული შემადგენლობა, - აცხადებს ბექჰემი. - მაგრამ ეგაა, როდესაც მსხვილ ტურნირზე მიდიხარ, იქ სადაც წინააღმდეგობას გაგიწევენ საერთაშორისო დონის გუნდები, აუცილებელია სათადარიგოდ გქონდეს ნაირგვარი ვარიანტები და ტაქტიკური სქემები".

ერთადერთი, ვინც კარდიფში ინგლისელთა ოპტიმიზმი არ გაიზიარა, უელსელთა მწვრთნელი ჯონ ტოშაკი აღმოჩნდა: "ინგლისელებმა ჯერ უნდა დაამტკიცონ ის, რომ მათი ადგილი უძლიერესთა ოთხეულში ან ექვსეულშია. მეთოდები, რომელსაც ჩვენს წინააღმდეგ იყენებდნენ, ათიდან ექვს გუნდთან თუ გაჭრის. თუმცა არც ის ოთხი-ხუთი გუნდი უნდა დაგვავიწყდეს, რომლებთანაც ინგლისელებს საკუთარი სტილის გადახედვა მოუწევთ".

ვაკანსიები

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **საველე უსაფრთხოების ოფიცრის** და **ხარჯთაღრიცხვის ბუღალტრის** თანამდებობების დასაკავებლად. **საველე უსაფრთხოების ოფიცერი** და **ხარჯთაღრიცხვის ბუღალტერი** წარმოადგენენ საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

საველე უსაფრთხოების ოფიცერი

სამუშაოს აღწერილობა:

დაქირავებული პირი, დროის უდიდეს ნაწილს, გაატარებს ველზე და მისი მოვალეობა იქნება უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მონიტორინგის წარმოება და არსებული წესების დაცვა. ამასთან ის ვალდებული იქნება, ყოველდღიური ანგარიში წარუდგინოს სამშენებლო საველე გუნდს, უზრუნველჰყოს უსაფრთხოების მართვის სისტემის მუშაობა, ხელი შეუწყოს BP-ის ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების (H&S) მოთხოვნათა დაცვას. საველე უსაფრთხოების ოფიცერმა უნდა აჩვენოს, რომ მზად არის დაიცვას ყველა კანონი და განსაკუთრებით უნდა შეუწყოს ხელი კომპანიის თანამშრომელთა და კონტრაქტორთა H&S-ის უნარჩევევების განვითარებას და ამაღლებას. ასევე მუდმივად უნდა მუშაობდეს თანამშრომლებთან ყველა დონეზე უსაფრთხოების კულტურის განვითარებაზე.

მოვალეობები და ვალდებულებები

კონკრეტული მოვალეობები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:

დახმარების გაწევა უსაფრთხოების დაცვის კულტურის ჩამოყალიბებაში, რაც თავისთავად H&S-ში წარმატების მიღწევის საფუძველი იქნება

- რჩევის მიცემა და დახმარების გაწევა ყველნაირი საქმიანობებისას, რათა თანაბრად იქნას დაცული უკვე დაწესებული უსაფრთხოების პირობები, ლეგალური მოთხონები და BP-ის შიდა სტანდარტები

დახმარების გაწევა BP-ის ჯანმრთელობისა და უსაფრთოების წესების განხორციელებისას

- კონტრაქტორის მიერ განხორციელებულ უსაფრთხოების პროგრამების და საქმიანობების შეფასება მონიტორინგში მონაწილეობა, იმის გასარკვევად, რომ ისინი აკმაყოფილებენ BP-ის სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებისა და კომუნიკაციის დამყარების საშუალებების უზრუნველჰყოფა, ასევე უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის განხორციელებული კამპანიების განვითარების მხარდაჭერა

- საშინაო და საგარეო უსაფრთხოების საკითხებზე ანგარიშების შედარება და მომზადება, ისე რომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სამშენებლო საველე კადრების ყოველდღიური საქმიანობების უსაფრთხოების მენეჯმენტზე

სამუშაო პროცედურის რისკის ანალიზში მონაწილეობა, მუშაობის დროს მოსმუშავე პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მიზნით

- უბედური შემთხვევის დროს გამოძიებასა და ანალიზის პროცესში აქტიური მონაწილეობა

უსაფრთხოების აუდიტის წარმოება რეგულარულად

- უსაფრთხოების ტრენინგებსა და დაკვირვების პროგრამებში აქტიური მონაწილეობა

საგანგებო მდგომარეობისას რეაგირების ტრეინინგებში დახმარების გაწევა და რეალურ საგანგებო სიტუაციებში მონაწილეობა. ამ მიზნით დაქირავებულ პირთან დაკავშირება ხელმისაწვდომი უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში

- მუდმივი მონიტორინგის წარმოება და ანგარიში ჩაბარება ყოველდღიური საქმიანობების შესახებ სამშენებლო საველე ჯგუფის, ისევე როგორც უსაფრთხოების მენეჯმენტთათვის

მოთხოვნები:

- მუშაობის გამოცდილება უსაფრთოების სფეროში, უპირატესობა მიენიჭებათ მათ, ვისაც უკვე უმუშავია პროექტში

უმაღლესი განათლება, სასურველია ტექნიკური განხრით

- ინგლისური, რუსული და ქართული ენების სრულყოფილად ფლობა

მართვის მოწმობა

- კომპიუტერული პროგრამების MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook - ის კარგი ცოდნა

ინტერესი და სურვილი შეისწავლოს და განვითარდეს ჯნდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში

- ადამიანებთან ურთიერთობის უნარი და გუნდური მუშაობის გამოცდილება

ხარჯთაღრიცხვის ბუღალტერი

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

ხარჯთაღრიცხვის ბუღალტრის მოვალეობები და პასუხისმგებლობა მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- ხარჯების კონტროლი

ვალდებულებების კონტროლი და ანგარიშ-ფაქტურების სწორად გამოწერა დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე, დანახარჯების კონტროლი ინდივიდუალური კონტრაქტების მიხედვით, კონტრაქტების ეტაპობრივი მოქმედების რეგულარულად შესწავლა.

- შესრულებული სამუშაოს ღირებულება (VOWD)

კონტრაქტის მფლობელთან ან კონტრაქტორთან ერთად პერიოდის ბოლოსთვის შესასრულებელი სამუშაოს საორიენტაციო ღირებულების (VOWD) განსაზღვრა, ფულადი სახსრების მოძრაობის ზრდის გასაანგარიშებლად.

- ფინანსური ანგარიშები

ყოველთვიური ანგარიშგება ბიუჯეტისა და ვალდებულებების, ვალდებულებისა და დანახარჯების, ბიუჯეტისა და "დასრულებისას საბოლოო ღირებულების" ურთიერთშედარების შესახებ.

- ბიუჯეტის შედგენა

მონაცემების შეგროვება ფიზიკური სამუშაოს გეგმური გრაფიკის, ხარჯვის ფაქტობრივი ტიპებისა და მიმართულებების საფუძველზე, წლიური ბიუჯეტის პროგნოზირების მიზნით

- ხარჯთაღრიცხვის შესრულების ანალიზი

ხელფასების ფონდისა და საოფისე ხარჯების ანალიზი ხარჯების ცენტრთან მიმართებით, დროის ყოველთვიურ განაწილებათა საფუძველზე.

- ანგარიშების ურთერთშედარება

სისტემების და ანგარიშების ძირითად ფინანსურ საბუღალტრო სისტემასთან (SAP) ყოველთვიურად შესაბამისობაში მოყვანა და ბალანსის ყველა მუხლის კონტროლი და ურთერთშედარება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ან მისი ექვივალენტი ეკონომიკის და ფინანსების დარგში

- მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება საბუღალტრო ან ფინანსურ სფეროში

ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა

- კომპიუტერთან სრულყოფილად მუშაობის უნარი

კანდიდატს უნდა გააჩნდეს თვითმოტივაციის უნარი და შეძლოს სხვადასხვა დიაპაზონის პრობლემების სწრაფი დიაგნოზირება, ანალიზი და გადაჭრა.

დამატებითი ინფორმაცია/განაცხადის შემოტანის წესი

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 9 სექტემბერი, პარასკევი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

BP Georgia

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

მაშინ, როცა გვიკრძალავდნენ ლაპარაკს

თეონა ჯაფარიძე.

არის ასეთი, ჩვენში ნაკლებად, მაგრამ დასავლეთში საკმაოდ ცნობილი 40-იანი, 50-იანი წლების მხატვარი - **იულიუს ბისიერი,** რომელიც იძულებული შეიქნა, ფაშიზმის პერიოდში "ნონ-ფიგურატული" მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი გამხდარიყო. "**პოლიტიკურად რთული პერიოდი მოდიოდა მაშინდელ ევროპაში და ის იძულებული იყო სიმბოლოები შეექმნა, ტილოზე პატარა შავი ლაქების გამოსახვით ეთქვა სათქმელი მაშინ, როცა ადამიანებს უკრძალავდნენ ლაპარაკს**" - საუბრობდა გუშინ მისი მხატვრობის შესახებ ქართველი **მხატვარი - გოგი გურასპაშვილი**. გერმანელი კურატორის მხრიდან სპეციალურ დამთხვევას ნამდვილად არ აქვს ადგილი, მაგრამ "მხატვარი, რომელიც შავი ლაქებით ამბობდა აკრძალულ სათქმელს", დღეს თბილისშია გამოფენილი: - დიუსელდორფის kunstzamlung-ის მუზეუმში დაცული მისი კოლექცია დღეს თბილისის ისტორიის მუზეუმში გამოსაფენად გერმანელმა კურატორმა - **დოქტორ ესერსმა** ჩამოიტანა. ბისიერის გამოფენას საქართველოში თან ჩამოჰყვნენ დიუსელდორფის Kunstzamlung-ის მუზეუმის დირექტორი **ოტმარ ბოემერი** და მხატვრის შვილთაშვილი **პედრო რიზა პორდა**. ქათულ მხრიდან გამოფენას კურატორობას თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზის დირექტორი ქალბატონი **ლიკა მამაცაშვილი** უწევს.

იულიუს ბისიერის ნამუშევრები დღეს-დღეობით **დიუსელდორფის Kunstsamlung-ის** მუზეუმში პიკასოს, მიროს, შაგალის, მატისის, კანდინსკის, პოისის, მოდილიანის, ტულუზ-ლოტრეკის, ვან-გოგის, მონეს, მანესა თუ გოგენის ნამუშევრების გვერდითაა დაცული. თუ ნაციზმის პერიოდში მას არ ჰქონდა გამოფენების მოწყობის უფლება, 50-იანი წლების მიწურულიდან მას კარს უღებს ვენეციისა თუ სან-პაულოს ბიენალეები, მისი პერსონალური გამოფენები ეწყობა პარიზსა თუ ლონდონში, მონაწილეობას იღებს dokumenta 2 და dokumenta 3 კასელში, აწყობს გამოფენებს ლოს-ანჯელესში, დეტროიტში, ჩიკაგოსა თუ მსოფლიოს ბევრ კულტურულ ცენტრში - ევროპის, ამერიკისა და აზიის ყველა მნიშვნელოვან მუზეუმსა და გალერეაში.

ნათია მიქელაძე - გოეთეს ინსტიტუტი, მხატვრის შვილიშვილი - პედრო რიზა პოდრა, კურატორი დოქტორ ესერსი და მუზეუმის დირექტორი ოტმარ ბოემერი.

ფოტო ლევან ცერცვაძისა

მაინც, როგორ მოხერხეთ დაგეთანხმებინათ დიუსელდორფის Kunstsamlung-ის მუზეუმი კოლექციის თბილისში გამოფენაზე? - ვკითხეთ ქალბატონ ლიკას.

ლიკა მამაცაშვილი - " გამოფენისათვის მოლაპარაკებები 5 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ყველაფერი კი პირადი კონტაქტებით დაიწყო. მუზეუმის დირექტორი ბატონი ოტმარ ბოემერი ამ რამდენიმე წლის წინ გერმანიაში გოგი გურასპაშვილის გამოფენაზე გავიცანი. მუზეუმთან ურთიერთობისას მთავარია ნდობის ფაქტორი. ურთიერთობების დამყარებასა და გერმანული მხარისათვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემისათვის მხარში **გოეთეს ინსტიტუტი** დაგვიდგა. გამოფენის ორგანიზატორი გოეთეს ინსტიტუტთან ერთად გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროცაა. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, შესაძლოა, მომავლისათვის ამ მუზეუმში დაცული სხვა ნამუშევრებიც გამოიფინოს თბილისში"

-რომელ ქართველ მხატვარს გაუწევდით კურატორობას?

- დავინტერესდით და ვკითხეთ გერმანელ კურატორს ბატონ დოქტორ ესერსს.

- "კარგად წარმომიდგენია როგორ გამოვფენდი ფიროსმანს" - გვიპასუხა მან.

თბილისში ბისიერის ორი პერიოდის - 40-იანი და 50-იანი წლების ნამუშევრებია ჩამოტანილი. დამთვალიერებელი ადვილად გამოარჩევს ამ პერიოდებს შესრულების ტექნიკით: 40-იანი წლების ნამუშერები თეთრ სახატავ ფურცელზე ტუშით შესრულებული მეტყველი და ბევრის მთქმელი "შავი ლაქებია". უფრო გვიანდელ ნამუშევრებში კი ფერი ჩნდება. მასალად კი გამოყენებულია ტილო, ზეთი, ტემპერა, აკვარელი, აქა-იქ გაიელვებს ფურცლოვანი ოქრო. სწორედ ამ ნამუშევრებზე მიგვითითა მხატვრის შვილთაშვილმა, ბატონმა პედრო რიზა პორდამ - "ოქროთი შესრულებული ეს პატარა მინიატურები ქართულ იკონოგრაფიას მაგონებსო."

გამოფენა ოფიციალურად 9 სექტემბერს გაიხსნება თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლის) საგამოფენო დარბაზში. ვფიქრობ, დღეს აუცილებლად დაგაინტერესებთ თავის დროზე ნაცისტების მიერ აკრძალული ხელოვნების ნახვა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

საიდენტიფიკაციო ნომერი: GOR/201
მსოფლიო ბანკის კრედიტი № 3701-GE
ქ. გორის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება
(ვერხვების, კვერნაკის და სადგურის დასახელება)

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. გორის წყალმომარაგების სისტემის (ვერხვების, კვერნაკის და სადგურის დასახელება) გაუმჯობესების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 400მმ და 315მმ დიამეტრის პოლიეთილენის მილების და 219მმ დიამეტრის ფოლადის მილების მონტაჟს, საერთო სიგრძით 13400მ, ურდულებისა და წყალმზომების მონტაჟს და დაკავშირებულ სამუშაოებს (კონტრაქტი № GOR/201). სამუშაოების ხანგრძლივობაა 12 თვე.

2. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად (1995 წლის გამოცემა, განახლებული 1996, 1997 და 1999 წლებში). ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94 32 40; 94 29 47; 92 34 70; 92 34 69; ფაქსი: 94 04 39, თითოეული კომპლექტისთვის აუნაზღაურებადი 180 ლარის (ან 100 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:
ბანკი "რესპუბლიკა", გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი: 220101757
ლარის ანგარიში №3834080001
დოლარის ანგარიში №334180001
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
კონკურსანტის მოთხოვნის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება მითითებულ მისამართზე ფოსტით. თუკი კონკურსანტი მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

4. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი, 0105, არაუგვიანეს 2005 წლის 20 ოქტომბრის 13:00 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 36000 (ოცდათექვსმეტიათას) ლარზე ან ექვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, 0105 თბილისი, 2005 წლის 20 ოქტომბერს 13:00 საათზე კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

5 დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდეგნს გაუხსნელად.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს მედიკამენტების, სტომატოლოგიური და ლაბორატორიული მასალების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი- მედიკამენტები, სტომატოლოგიური და ლაბორატორიული მასალები

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

1. **ლოტი N1- გადასასხმელი საშუალებები**
2. **ლოტი N2- ფსიქოტროპიული საშუალებები**
3. **ლოტი N3-ანტიბიოტიკები**
4. **ლოტი N4-სხვადასხვა სახის ვიტამინები**
5. **ლოტი N5-ანალგეტიკები (სპაზმოლიტიკები).**
6. **ლოტი N6- სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტები**
7. **ლოტი N7- სტომატოლოგიური მასალები.**
8. **ლოტი N8-ლაბორატორიული მასალები.**

სხვა დამატებითი ინფორმაციების მიღება მოსაწოდებელი მედიკამენტების, სტომატოლოგიური და ლაბორატორიული მასალების შესახებ ტენდერში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ, მათი მოთხოვნის შესაბამისად, დამტკიცებულ სატენდერო დოკუმენტაციაში.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2005 წლის 15 ოქტომბრიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე ადგილზე მიტანით (ქ. თბილისი) ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიულ პირთათვის:

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

ფიზიკურ პირთათვის:

1. უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
3. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

დამატებითი მოთხოვნები:

- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ლიცენზია-მედიკამენტების რეალიზაციაზე. (უნდა იყოს წარმოდგენილი ლიცენზია შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარმაციის დეპარტამენტიდან).

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (იცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნას ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიუსის მიერ) და წარმოდგენილი სატენდერო კომიისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის **22 სექტემბრიდან** 2005 წლის **26 სექტემბრის 14 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

0177, ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2 შესყიდვების დეპარტამენტი მე-6 სართული ოთახი N609
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2005 წლის **26 სექტემბერის 14 საათზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს 2005 წლის **28 სექტემბრიდან 2005 წლის 30 სექტემბრის 14 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **0177, ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2. თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული ოთახი N609.** სატენდერო კომიისიის აპარატი.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 5 ოქტომბერის** 15:15 **საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 5 ოქტომბერს** 15:15 **საათზე.**

პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს წამლის სარეგისტრაციო ფურცელი, GMP სერთიფიკატი ან ხარისხის სერთიფიკატი (იპორტული საქონლის შემოთავაზების შემთხვევაში).

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე **25-17-74.**

სატენდერო კომისია

გარყვნილი პოლანსკი გამართლებულია!

მელორ სტურუა
საკ. კორ. აჟჟ-ში

“საინტერესოა, როგორ ვერდიქტს გამოიტანენ ბრიტანელი ლორდები ამერიკული მართლმსაჯულებისგან საფრანგეთში გადამალული პოლონელი კინორეჟისორის ცილისწამების საქმეზე?” ამ სიტყვებით მთავრდებოდა ჩემი სტატია პროცესზე, სადაც რომან პოლანსკი უჩივის ჟურნალ “ვენიტი ფეარს” (“ამაოების ბაზარი”). მოკლედ შეგახსენებთ რაში იყო საქმე. ნიუ იორკის ლიტერატურულ-ბოჰემურ რესტორან “ელეინ-სიდან” ჟურნალის რეპორტაჟში მოყვანილი იყო ჟურნალ “ჰარპერსის” მთავარი რედაქტორის ლუის ლეპჰემის მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ აბამდა პოლანსკი შვედ ლამაზმანს და ჰპირდებოდა, რომ მისგან თავისი ცოლის, შარონ ტეიტის მსგავს კინოვარსკვლავს გააკეთებდა. ამ სცენის სისაძაგლეს აძლიერებდა ის გარემოება, რომ მეორე დღეს პოლანსკი ნიუ იორკიდან ჰოლივუდში მიფრინავდა თავისი ცოლის გასვენებაზე, რომელიც მხეცურად მოკლეს ჩარლზ მენსონის ბანდის წევრებმა. მკვლელობის დროს მშვიერი შარონი ორსულობის მერვე თვეში იყო.

პოლანსკის სარჩელის აზრი მოკლედ შემდეგში მდგომარეობდა: დიახ, მე გარყვნილი ვარ. დიახ, ტეიტის მკვლელობის მერე მე ვლოთობდი და ბევრ ქალთან ვცხოვრობდი, ზოგჯერ ორთან ერთადაც. მე ამას მწუხარების დასავიწყებლად ვაკეთებდი. მაგრამ ისე არ დავცემულვარ, რომ მოვქცეულიყავი ისე, როგორც “ვენიტი ფეარშია” აღწერილი. საქმის განხილვა ლონდონის ლორდთა სასამართლოში მიმდინარეობდა, რომელიც ცილისწამების მსხვერპლისადმი უფრო კეთილგანწყობილია, ვიდრე ამერიკული თემიდა. პოლანსკის მაგივრად მოწმის ადგილას იდგა ბრტყელი პლაზმური ეკრანი. პოლანსკი ამ ტელევიზორით პარიზიდან იძლეოდა ჩვენებებს. რომანს ლონდონში ჩასვლის შეეშინდა. ინგლისსა აშშ-ს შორის არსებობს ხელშეკრულება დამნაშავეთა გადაცემის შესახებ, პოლანსკი კი 20 წლის წინ გაიქცა აშშ-დან, სადაც მას ბრალი ედებოდა 13 წლის გოგონასთან თანაცხოვრებისთვის (აშშ-ში არასრულწლოვნთან ურთიერთობა გათანაბრებულია გაუპატიურებასთან).

22 ივლისს ლორდთა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ჟურნალი “ვენიტი ფეარი” მიჩნეულ იქნა დამნაშავედ რომან პოლანსკის ცილისწამებისთვის. განაჩენის თანახმად ჟურნალი ვალდებულია, გადაუხადოს მოსარჩელე მხარეს კომპენსაციის სახით 50 ათასი ფუნტი სტერლინგი, ანუ 87 700 დოლარი, პლუს სასამართლო ხარჯები. სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ პოლანსკიმ პარიზში განაცხადა: “მართალია, თვითონ ეპიზოდი საკმაოდ ნაღვლიანი იყო, მაგრამ ჟიურის ვერდიქტით კმაყოფილი ვარ. ჩემს შესახებ ბევრ ტყუილს წერდნენ. უმრავლესობას უყურადღებოდ ვტოვებდი. მაგრამ “ვენიტი ფეარის” 2002 წლის ივლისის ნომერში გამოქვეყნებილი ტყუილი არ შემეძლო რეაქციის გარეშე დამტოვებინა”. პოლანსკიმ გაიმეორა სასამართლოში თავისი ჩვენება იმის შესახებ, რომ შარონის მკვლელობის შემდეგ იგი თავზეხელაღებულ ცხოვრებას ეწეოდა. თუმცა, ამბობდა, რომ “არსებითი სხვაობაა” თავისუფალ ქცევასა და იმას შორის, რაც მასზე ჟურნალმა დაწერა: “შეაბა ქალები ტეიტის სახელის მოხსენიებით მისი დასაფლავების წინა დღეს... მე არ მგონია, რომ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ასე მოიქცეოდა. მაგრამ ეს განსაკუთრებით უპატიოსნო და მტკივნეული იყო შარონის მიმართ”.



ჟიურის გადაწყვეტილება, როგორც იქ იყო აღნიშნული, სრულიად არ ცდილობდა პოლანსკის “მორალური სახის” გალამაზებას. გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო: “ვენიტი ფეარმა” ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ მის ფურცლებზე აღწერილი სცენა რეალური იყო. ვერდიქტით აღშფოთებულმა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა გრეიდონ კარტერმა თქვა: “მე უბრალოდ გაგიჟებული ვარ. საფრანგეთში მცხოვრებ ადამიანს ნება დართეს, სარჩელი შეეტანა ინგლისის სასამართლოში იმ ჟურნალის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკაში გამოდის. და ამავე დროს იგი ამ სასამართლოზე თავად არ გამოცხადდა! როგორც ოთხი შვილის მამა, რომელთაგან ერთი 12 წლის გოგონაა, მე ასევე აღმაშფოთებლად ვთვლი, რომ ჩემს ჟურნალში მოყოლილი ისტორია შეურაცხმყოფელად ჩათვალეს იმ ადამიანისთვის, რომელიც არ გამოცხადდა 13 წლის გოგონას გაუპატიურების საქმის განხილვისას სასამართლოში და აი, უკვე მეოთხედი საუკუნეა, სხვა ქვეყანაში იმალება”.

“ინციდენტი” რესტორან “ელეინსში” 36 წლის წინ მოხდა - 1969 წლის აგვისტოში (პოლანსკი ახლა 71 წლისაა). როგორც სასამართლოში გაირკვა, “ინციდენტს” ადგილი ჰქონდა არა შარონ ტეიტის გასვენებამდე, არამედ გასვენების შემდეგ. ცდუნების ობიექტი იყო არა შვედი, არამედ ნორვეგიელი მოდელი ბეატე ტელე. აღიარა რა ეს პატარა უზუსტობები, ჟურნალის ადვოკატმა სასამართლოში განაცხადა, რომ “პოლანსკის ველური სექსუალური წარსულის თვალსაზრისით შეუძლებელია მისი რეპუტაციის შელახვა”. მან კინორეჟისორი დაახასიათა, როგორც “ცინიკური სექსუალური მტაცებელი”, რომლის რეპუტაციას “უკვე ვერავითარი რემონტი ვერ უშველის”. ადვოკატმა დაამატა, რომ პოლანსკი არავითარი საჩუქრის ღირსი არ არის, “გარდა კინოთეატრის ერთი ბილეთის ოდენობის სიმბოლური საფასურისა”. მაგრამ, მოსამართლემ გააფრთხილა: “ჩვენი მოვალეობა ის კი არ არის, რომ მისტერ პოლანსკის ცხოვრების სტილზე გამოვიტანოთ გადაწყვეტილება, არამედ განვსაზღვროთ მისი კომპენსაციის ოდენობა” (კომპენსაციის მაქსიმუმი განსაზღვრული იყო 200 ათასი ფუნტი სტერლინგით, ანუ 348 220 დოლარით).

ჟურნალ “ვენიტი ფეარს” ვერც მოწმეებმა უშველეს. “ჰარპერსის” მთავარმა რედაქტორმა ლეპჰეინმა გაიმეორა ის, რაც ჟურნალში იყო გამოქვეყნებული და დაამატა: “ეს ინციდენტი მეხსიერებაში ჩამებეჭდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ პოლანსკის სიტყვები ვულგარული და უგემოვნო იყო, არამედ იმიტომაც, რომ ეს იყო კლიშე” (ანუ რეჟისორები ჩვეულებრივ ასე აბამენ გოგონებს, რომელთაც კინოში უნდათ გადაღება”). “ვენიტი ფეარს” ვერ უშველა მეორე მოწმის, ფინანსისტ ედვარდ პერლბერგის ჩვენებებმაც. ის მაშინ სწორედ იმ ნორვეგიელი მოდელის ბეატე ტელეს ბოიფრენდი იყო, რომელსაც, თითქოს სხვადასხვა საიტერესო ადგილებში ხელებს უსვამდა პოლანსკი. პერლბერგმა თქვა, რომ თავად მას არ გაუგია ჟურნალში გამოქვეყნებული პოლანსკის სიტყვები, მაგრამ როდესაც ის თავის საყვარელს ტაქსით სახლში აცილებდა, მან უამბო ყველაფერი, რაც ხდებოდა რესტორან “ელეინსის” მაგიდასთან: “მან ხელები მომისვა და მითხრა, რომ ჩავსულიყავი მასთან ჰოლივუდში სინჯებზე; იგი შემპირდა, რომ ჩემგან მეორე შარონ ტეიტს გააკეთებდა. და საერთოდ, მისტერ პოლანსკი რაღაც ძალიან ტკიპასავით ტიპი იყო”. მაგრამ მთავარი მოწმე სასამართლოზე არ ყოფილა. პერლბერგის სიტყვებით, მან არ იცის, თუ სად ცხოვრობს ეს ქალბატონი ახლა და საერთოდ ცოცხალია თუ არა!

აქ მე თავს უფლებას მივცემ, გავაკეთო პატარა გადახრა. იმის მიუხედავად, ვინ იყო მართალი ამ ინციდენტში, და საერთოდ, მოხდა თუ არა ეს ამბავი, პოლანსკის საქციელით აღშფოთებული “ვენიტი ფეარის” მხარის მოწმეები ასევე არ გამოირჩეოდნენ კეთილშობილებით. თუ რომანი მართლაც ასე ცუდად იქცეოდა, მაშინ ლეპჰეინმა, ამ პატრიცი-ჟურნალისტმა და ნორვეგიელი ლამაზმანის ბოიფრენდმა პერლბერგმა რატომ არ დაიცვეს იგი და რატომ არ გალახეს “ცინიკური სექსუალური მტაცებელი”, რატომ არ გააგდეს ის რესტორნიდან? ნიშანდობლივია, რომ ეს შეკითხვა არასოდეს გაჩენილა ამერიკულ მედიაში, თუმცა, პოლანსკი-”ვენიტი ფეარის” საქმეზე საკმაოდ ბევრი იწერებოდა. დეტალი პატარაა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი. ქვეყანაში ჯენტლმენები, ნამდვილი მამაკაცები გადაშენების პირას არიან მისულები.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა ცნობილი რესტორნის პატრონის, ელეინ კაუფმანის შესახებ. როგორც კი ლონდონში დაიწყო ცილისწამების საქმის მოსმენა, რეპორტიორები ჯგროდ დაესივნენ “ელეინსს”. მეპატრონე ქალბატონი, ჰარი პოტერის მსგავსი სათვალით, როგორც ყოველთვის, №3 მაგიდასთან იჯდა. მადამ კაუფმანი ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს აღიზიანებდა - ყურადღებით აკვირდებოდა შემოსულ და გასულ კლიენტებს, ოფიციანტებს აძლევდა მოკლე მითითებებს. მან ჯერ გაკვრით თქვა, რომ იცის ინციდენტზე სიმართლე, მაგრამ არ იტყვის, რათა თავიდან აიცილოს სასამართლო პროცესი. შემდეგ კი უკუსვლა გააკეთა და თქვა, რომ არ ახსოვს ინციდენტის დეტალები და საერთოდ ეჭვი ეპარება, მოხდა თუ არა ის. მას იმაშიც შეეპარა ეჭვი - ახსოვთ კი იგი თავად მონაწილეებს. “მაშინ ძალიან არეული დრო იყო, - თქვა ელეინმა. - ყველა სვამდა, ყველა ეწეოდა სიგარეტს ან სხვა რამეს (ნარკოტიკი - მ.ს.). როგორ ემახსოვრებათ რამე?”

ქალბატონი კაუფმანი არავის სდებდა ბრალს ტყუილში. უბრალოდ, ამბობდა, რომ ყველა თავისებურად იხსენებდა ამ ეპიზოდს. “ჩემი კლიენტები ხელოვნების ხალხია - მწერლები, მხატვრები, ინტელექტუალები, - ამბობდა იგი. - მათ უყვართ ანეკდოტების მოყოლა. ყველა ანეკდოტს კი სიმართლეზე ვერ შეამოწმებ. მწერლები, როდესაც ისინი არ წერენ, ძალიან მახვილგონიერნი არიან”.

კაუფმანი იმის შესახებაც მოჰყვა, თუ როგორ შეხვდა ის პოლანსკის პარიზში. მან ჰკითხა, თუ რატომ წამოიწყო ეს პროცესი, რაზეც “ცინიკურმა სექსუალურმა მტაცებელმა” თითქოს უპასუხა: “ეს პრინციპის საქმეა”. მის მუდმივ კლიენტზე ლეპჰემზე ელეინმა შენიშნა: “შეიძლება მან უბრალოდ გაიხუმრა”. მოდელ ტელეზე მან უფრო გაურკვევლად თქვა: “იქ ბევრი შვედი და ნორვეგიელი გოგო იყო. ყველას ფეხები ყურებიდან ეზრდებოდა და ყველა ვიღაცის საყვარელი იყო”. შემდეგ მადამ კაუფმანმა, ალბათ უფრო ნათელი რომ ყოფილიყო, მიუთითა №4 მაგიდისკენ (ოდესღაც პოლანსკის მუდმივი მაგიდა). მის გარშემო იჯდა სამი ღიპიანი ჯენტლმენი ხუთ ჩამოთლილ, შიშველმხრებიან გოგონასთან ერთად. ხუთივე მგზნებარე შავგვრემანი იყო.

- მოდი და გაარჩიე ერთმანეთისგან. ყველა ერთმანეთს ჰგავს, ერთი კამპანიაა (ჩვენებურად, “ტუსოვკა”) - რეპორტიორების გამომწვევად თქვა ქალბატონმა.

ლორდების განაჩენმა არ შეარყია ელეინის შეხედულებები თავის კლიენტებზე.

- იმ წლებში ყველა “ჯირითით” იყო გატაცებული (მექალთანეები იყვნენ - მ.ს.). მე კარგად ვიცნობ ამ მამაკაცებს. მათ შორის ვის ექნება პრეტენზია სრულყოფილებაზე?

ყოველ შემთხვევაში, არა რომან პოლანსკის. აძლევდა რა ჩვენებებს თანამგზავრის საშუალებით, იგი ხშირად იცრემლებოდა. “ჩემი გარდაცვლილი ცოლის შარონ ტეიტის მოგონება ჩემი შთაგონების ავანსცენაზე იყო, როდესაც მე მივმართე სასამართლოს”, - ამბობდა ის ქვითინით. ამ მომენტში რომანი ცხოველურად ჰგავდა თავის პერსონაჟ-მონსტრებს თავისივე საშინელებათა ფილმებიდან.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის
წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით.

კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 400 000 ლარს.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის 26 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში და ვერ დააგროვეს 45 ქულაზე მეტი.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 24 ოქტომბერი, 17:00 სთ.

ყოველ სამშაბათს, 12 საათზე ჩატარდება კონსულტაცია დაინტერესებულ პირთათვის.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,
ტელ/ფაქსი: 984201 E-mail: office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge

გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის (მსპ) ოფისი თანამშრომლობისათვის იწვევს სატრანსპორტო კომპანიებს მონაწილეობა მიიღონ მსპ-ს ტვირთების გადაზიდვაში საქართველოს მასშტაბით.

გთხოვთ, ა.წ. 15 სექტემბრამდე მოგვაწოდოთ წერილობითი ინფორმაცია კომპანიის/ფირმის პროფილის შესახებ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 39ა, IX სართული.
მსპ საქართველოს ოფისის დირექტორს, ქ-ნ ინგე ბროიერს

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გაამოირჩევ სწრაფი ახროვნებით?
არ გეშინია გამოიცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა “ყველაზე ჭკვიანის” მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობლებთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი 2”, ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბლანკი უფასოა